ეროვნული ბიბლიოთეკა

სამძიმარი

გაიმართა სატელეფონო საუბარი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სატელეფონო საუბარი. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადა უკრაინის ლიდერს 8 ოქტომბერს კოდორის ხეობაში ვერტმფრენის დაღუპვის გამო, რომელიც უკრაინის კომპანიას ეკუთვნოდა და რომლის დროსაც საქართველოში გაეროს მისიის 5 სამხედრო მეთვალყურესთან ერთად დაიღუპა ეკიპაჟის სამი წევრი – უკრაინის მოქალაქეები. ედუარდ შევარდნაძემ დაარწმუნა ლეონიდ კუჩმა, რომ ეს ტრაგედია დეტალურად იქნება გამოძიებული.

საუბარი ასევე შეეხო უკრაინისა და საქართველოს ორმხრივი ურთიერთობის მდგომარეობასა და პერსპექტივებს.

საქინფორმი.

კანონმდებლები

პარლამენტი რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს მოუწოდებს ურთიერთობის ნორმალიზებისაკენ

საქართველოს პარლამენტი აღშფოთებულია 11 ოქტომბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული დადგენილებით. ამასთან დაკავშირებით 12 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა სპეციალური განცხადება მიიღო.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ რუსეთის სახელმწიფოს დაუსაბუთებელი და რეალობას მოკლებული ბრალდებები და შეფასებები ჩეჩენი ტერორისტების მფარველობისა და ანტირუსული აგრესიული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია პოლიტიკური ზემოქმედების მოსახდენად, რომლის მიზანია საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა.

იხ. მე-2 გვ.

ანონსი

ხვალ გაზეთში წაიკითხავთ:

- ◉ შიმონ პერესის განსჯას „ტერორი – გლობალური საფრთხე“;
- ◉ შალვა ფაჩულიას წერილის „ჩვენი ნეიტრალიტეტი შეიძლება რუსეთის საზრუნავიც კი გახდეს“ გაგრძელებას;
- ◉ „იდეალური არა, მაგრამ წარმატებულია“, – აცხადებს იუსტიციის საბჭოს ახალი მდივანი ზურაბ აბაშიძე ლეილა კოშკაძესთან საუბარში.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

ოთხ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 16231 მკითხველი. მათ შორის, 51% აშშ-დან, 23% – გერმანიიდან.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №252 (3993) შაბათი. 13 ოქტომბერი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტი

მეცნიერები თანამშრომლობას აქტიურებენ

12 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან სამედიცინო დიაგნოსტიკის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით. მათ შორის იყვნენ ევროპის კარდიოიმიჯინგის ასოციაციის პრეზიდენტი, რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი რაინერ რიენმიულერი, მსოფლიო რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი ჰანს რინგერცი და სხვები, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით საქართველოში სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტში უახლესი ტექნოლოგიების დანერგვაში.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს აქტიური თანამშრომლობისათვის თანამედროვეობის ამ ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულსა და განვითარებად სფეროში. მისი განცხადებით, საქართველოში 10 წლის წინათ შექმნილმა სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტმა უკვე მოიპოვა აღიარება, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ის გარემოება, რომ იქ მომსახურე მედპერსონალის დიდმა ნაწილმა უცხოელი პარტნიორების დახმარებით აიმაღლა კვალიფიკაცია და სწორედ ამ უახლეს ტექნოლოგიებზე დასპეციალდა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ გაფართოვდება და ხელს შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრაციას მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო პროცესებში.

საქინფორმი.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 11 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მოწვეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა 2001 წლის 17 ოქტომბრიდან შემდეგი დღის წესრიგით:

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

ე. შევარდნაძე.

პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა

12 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ქვანიამ საფრანგეთის რესპუბლიკის ესონის დეპარტამენტის დელეგაცია მიიღო.

დელეგაციის ხელმძღვანელის, ესონის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს გენერალური მრჩევლის მონინ გოგლას განცხადებით, მათი ჩამოსვლის მიზანია განამტკიცონ მცხეთა–მთიანეთის რეგიონთან საქმიანი ურთიერთობა სოციალურ, კულტურულ და განათლების სფეროებში.

იხ. მე-2 გვ.

შევეწიოთ!



სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ტაძრის მშენებლობას შეეწირნენ:

შპს „ძმები“	– 50 ლარი
მერაბ წიკლაური	– 10 ლარი
თორნიკე გურული	– 12 ლარი
შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული სამეურნეო სამსახური	– 60 ლარი.

განსჯა

ჩვენი ნეიტრალიტეტი შეიძლება რუსეთის საზრუნავიც კი გახდეს

იხ. მე-4 გვ.

გამარჯობათ!

ქვეყანას მიხედვა უნდა, ქვეყნის მიხედვა კი არავის უნდა

ის უბედური ბეკეკა მიდგას თვალწინ, ქვევიდან რომ შეჰკივინებს ბეწვაშლილ მგელს, უდანაშაულო ვარ, ბიძია, და ასე უმიზეზ-უსაბაბოდ ნუ გამომჭრი ყელსო. მგელი კი კბილებს უკრაჭუნებს, „შენი ჩაკრეხა რომ მნებავს, მიზეზად ისიც კმარაო“.

აჯაგრულა რუსეთი და მოგვედგომია.

არ გადის ჩვენი მართალი.

რატომ ჰქვია მის მრავალწლიან ომს ჩეჩნეთში სამართლიანი და რატომ ჰქვია ჩვენს უნიათო ხელფეხის გაქნევას აფხაზეთში ტერორიზმი?

რატომ უდგათ ძეგლები კოვპაკსა და მედვედევს და რატომ არიან ქართველი პარტიზანები, რომელთაც მშობლების საფლავი წაუბილწეს და ცოლ-შვილი შეუგინეს, ბანდიტები?

იხ. მე-2 გვ.

დღის თემა

საქართველოსთვის თუ საქართველოს წინააღმდეგ?

> „ძმებო, ნუ ძრახავთ ერთმანეთს. ძმის მძრახავი და თავისი ძმის განმკითხველი ძრახავს რჯულს და განიკითხავს რჯულს“.
>
> (მათე. 7,1).

ძნელი კითხვაა და მწარე.

რა თქმა უნდა, საქართველოს მხარეს ვართ. მაგრამ ყველანი?

ნუ აღშფოთდებით, ვისაც არ გეხებათ. თქვენი მრისხანება სხვა მხარეს მიმართეთ.

სხვა აზიმუტით...

ჩვენი გაზეთის გასული ხუთშაბათის ნომერში ხავსს მოვეჭიდე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მთლად არ გადავწურე წყალი: „დღეს დუმამ, – ვწერდი, – უნდა დაამტკიცოს, შეესაბამება თუ არა მისი მოქმედება ამ დიდებულ რუსულ სიტყვას – Дума – აზრი, ფიქრი. თუ პოლიტპამპულათა აყოლას ამჯობინებს?“

ამჯობინა ეს უკანასკნელი.

რა თქმა უნდა, ეს, უწინარეს ყოვლისა, მისი პრობლემაა და ტრაგედიაც, მაგრამ ჩვენ რომ გვეხება?

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდენ!

ზაზა ლუკავას შინ დაბრუნებას უსურვებენ

სოხუმიდან კერააყრილ ახალგაზრდებს დიანა კვარაცხელიას და გენო ლუკავას ამ დღეებში პირველი შვილი – ზაზა შეეძინათ.

აფხაზეთის ომის ქარცეცხლმა დაასვა დაღი ახალდაქორწინებულებს, ტკივილი და მწუხარება, შინ დაბრუნების მონატრება მათ დღემდე მოჰყვათ. დიანას მკურნალობამ თავისი შედეგი გამოიღო და სიხარულიც ეწვიათ. გაიხარეს ვაჟიანობით.

ლუკავების ოჯახში სტუმრების მოსვლა არ წყდება. ლტოლვილობამ ხომ ასე დაამეგობრა ყველა ერთმანეთთან. არის დალოცვა ჩვილის და აფხაზეთში პატარა ზაზას დაბრუნების დიდი სურვილი.

ჩვენც ვუსურვებთ!

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ექსკლუზივი

გეოპოლიტიკური თამაშები ისტორიის კუთვნილებაა

ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილესთან, სახელმწიფო კანცელარიის უფროსთან პეტრე მამრაძესთან

– ბატონო პეტრე, ჩვენი საუბრის თემაა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა გუშინ, დღეს, ხვალ. ალბათ, უპრიანია, საუბარი დავიწყოთ იმით, თუ რა ვერ გავთვალეთ რუსეთთან პოლიტიკურ ტატამზე გასვლისას.

– დავიწყებ იმის მტკიცებით, რომ რუსეთ-საქართველოს ჭეშმარიტი, ხაზს ვუსვამ, ჭეშმარიტი ეროვნული, ანუ სახელმწიფო ინტერესები მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. საქართველო უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ მისი დიდი მეზობელი სახელმწიფო იყოს დემოკრატიული, განვითარებული, კულტურულად და ეკონომიურად სტაბილური ქვეყანა.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

ჩვენი პოზიცია ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე დაფიქსირდა

ვენაში გაიმართა ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომა, სადაც ქართულმა მხარემ განცხადება გააკეთა და შეშფოთება გამოთქვა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ გამოთქმულ ბრალდებებთან დაკავშირებით, იუწყება „იფრინდა“.

ქართული მხარის განცხადებით, უმჯობესი იქნებოდა ტერორისტების მფარველობაში საქართველოს დადანაშაულების ნაცვლად, რუსეთმა საკუთარი საზღვრები დაიცვას „ბოევიკებისაგან“.

საქართველოს დელეგაციამ რუსი კოლეგებისაგან მოითხოვა საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე სავიზო რეჟიმის გამკაცრება, რათა შემცირდეს არალეგალური შეიარაღებული ჯგუფების შემოსვლა. აღინიშნა ეუთოს მონიტორინგის გაფართოების აუცილებლობა.

რუსეთის დელეგაციამ აფხაზეთში ვითარების შემდგომ გართულებაზე, პასუხისმგებლობა თბილისს დააკისრა.

სხდომაზე, თურქეთისა და აშშ-ს წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და განაცხადეს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ აუცილებლად უნდა მოახდინოს რეაგირება ქართული მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე.

დიტერ ბოდენი უარყოფს...

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა დიტერ ბოდენმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, რომელიც 11 ოქტომბერს გადაიცა ტელევიზიის პირველი არხით „მოამბეში“ იმის შესახებ, რომ თითქოს მან მოიწონა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების შეყვანის აზრი კოდორის ხეობის ზემო ნაწილში. დიტერ ბოდენი „მოამბის“ გენერალური დირექტორისადმი გაგზავნილ წერილში, კერძოდ, წერს, რომ მსგავსი განცხადება არასდროს გაუკეთებია და ასეთ მოსაზრებას არ ემხრობა. პირიქით, მას მიაჩნია, რომ საკმაოდ დაძაბული სიტუაციის პირობებში ასეთი ღონისძიება უადგილოა და ეწინააღმდეგება მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. უფრო მეტიც, ამ ღონისძიებას შეუძლია ხელი შეუწყოს რეგიონში სიტუაციის შემდგომ დესტაბილიზაციას.

ოპერატიული მოლაპარაკებისკენ მოუწოდა

ბატონმა დიტერ ბოდენმა აფხაზეთში შექმნილი კრიზისული ვითარების დასაძლევად პარასკევს მხარეებს ოპერატიული მოლაპარაკებების გამართვისაკენ მოუწოდა.

პრაიმ-ნიუსთან საუბრისას მან განაცხადა, რომ „სასწრაფო ქმედებებია საჭირო, რამდენადაც კონფლიქტის სამხედრო გზით მოგვარების მომხრეებს შანსი არ უნდა მიეცეთ“.

სათათბიროს განცხადება ვითარებას ვერ შეცვლის

„რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ 11 ოქტომბერს მიღებული განცხადება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობათა გაუარესების შესახებ, სიტუაციას ვერაფრით შეცვლის. ჩვენთვის იგი ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ საქართველომ თავის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებში კორექტივი შეიტანოს“, – განუცხადა ჟურნალისტებს 12 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა კახა სიხარულიძემ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

სხვისი თვალით

აფხაზეთი ტერორისტული ომის მესამე ფრონტის ბუმერანგად გვიბრუნდება

9 ოქტომბრის ღამით რამდენიმე თვითმფრინავმა დაბომბა გულრიფშის (ანუ გულერიბის, როგორც აფხაზები უწოდებენ) რაიონის რამდენიმე სოფელი. აფხაზების მხარემ დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ ეს იყო „საქართველოს მოიერიშე ავიაციის რამდენიმე თვითმფრინავი“. ქართველების მხარე არ უარყოფს დაბომბვის ფაქტს, მაგრამ აცხადებს, რომ ეს იყო „უცნობი თვითმფრინავები და ვერტმფრენები“. აფხაზეთში გამოაცხადეს საყოველთაო მობილიზაცია – პირველი 1993 წლის შემდეგ. 8 ოქტომბერს ჩეჩენმა მოთარეშეებმა აფხაზეთის თავზე გაეროს მისიის ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ჩეჩნეთისა და ავღანეთის შემდეგ აფხაზეთი ჩვენს თვალწინ ტერორისტული ომის ახალ ასპარეზად ყალიბდება. აფხაზეთი ორმაგი სტანდარტების ბუმერანგად გვიბრუნდება.

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სააგენტოს მეთაურმა განაცხადა, რომ უნდა შეწყდეს საჰაერო დარტყმები ავღანეთში, რათა ლტოლვილების დაზამთრებამდე დახმარება მოასწრონ.

აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, ამერიკელ ბავშვებს მოუწოდა, თითო-თითო დოლარი შეაგროვონ ავღანელი ბავშვების დასახმარებლად.

ლარის კურსი

12 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.0233 ლარი
გერმანული მარკა	1	0.9704 ლარი
აშშ დოლარი	1	2.0850 ლარი
ევრო	1	1.8980 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0706 ლარი.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +9+14; დღისით +14+19;
მთაში: ღამით +3+8; დღისით +8+13.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +11+16; დღისით +19+24.
მთაში: ღამით +5+10; დღისით +13+18.

თბილისში

მოღრუბლულობა, წვიმა.
ღამით: +14+16; დღისით: +22+24.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ინტერპანორამა

ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, ციმბირის წყლულის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა აშშ-ში. დაავადდა ტელეკომპანია ენ-ბი-სი-ს თანამშრომელი. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გუშინ აშშ-მ შეწყვიტა ავღანეთის დაბომბვა, რადგან პარასკევი მუსულმანთათვის ლოცვის დღეა.



გუშინ ნობელის პრემიების კომიტეტმა ოსლოში დაასახელა ნობელის პრემიის 2001 წლის ლაურეატი – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი გენერალური მდივანი კოფი ანანი. წლეულს პრემია 100 მილიონი შვედური კრონია (დაახლ. 100 ათასი აშშ დოლარი).

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ამას წინათ მეგობრისგან გავიგე, რომ არსებობენ ჩანთოსანი დათვები. მაინტერესებს მართალია ეს თუ არა და სად ბინადრობენ ისინი?

მაია სიდამონიძე, თბილისი.

– ჩანთოსანი დათვი, კოალა ჩანთოსნების რიგის ძუძუმწოვარი ცხოველია. იგი გარეგნულად დათვს ჰგავს, ფერად რუხია და გავრცელებულია ავსტრალიაში. ცხოვრობს ტყეში, იკვებება ფოთლებით და მრავლდება სექტემბრიდან მაისამდე. შობს ერთ ნაშიერს, რომელიც ჩანთაში რჩება 6 თვემდე.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

პრეზიდენტი

უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა სრულად შეესაბამება თანამედროვე ქვეყნის მოთხოვნებს

12 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინაშე ფიცი დადო მოსამართლე მადონა გოგელიამ, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი იქნება მომდევნო ათი წლის განმავლობაში. ამ თანამდებობაზე იგი 2001 წლის 28 სექტემბერს აირჩია საქართველოს პარლამენტმა.

კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფიცის დადების ცერემონიალზე უზენაესი სასამართლოს ახალი წევრი საქართველოს პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ წარუდგინა. მისი დახასიათებით, სასამართლოს ახალი წევრი გამოცდილი და კარგი რეპუტაციის მქონე პროფესიონალია.

საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ უზენაესი სასამართლოს დღევანდელი შემადგენლობა სრულად შეესაბამება თანამედროვე ქვეყნის მოთხოვნებს და მომავალში მისი მოღვაწეობის ეფექტიანობა კიდევ უფრო გაიზრდება. მან მიულოცა მადონა გოგელიას ახალ თანამდებობაზე დანიშვნა და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

საქინფორმი.

პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა

(პირველი გვერდიდან)

როგორც შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი და მეგობარი ქვეყნების რეგიონებს შორის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობას. ეს ვიზიტი ამის ნათელი მაგალითია. მან აღნიშნა, რომ დღეს საფრანგეთი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პარტნიორია, ხოლო ორივე სახელმწიფოს პარლამენტარები გამოცდილების გაზიარების მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობენ. უმთავრესი კი, ხალხების ურთიერთდაახლოებაა, რაც საქართველოსა და საფრანგეთის სახელმწიფოებს შორის ტრადიციულად საინტერესო და კეთილი ურთიერთობის გარანტია, — განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

საქინფორმი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2001 წლის 12 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

უმძიმეს დაავადებათა დიაგნოსტიკის ცენტრის ჩამოყალიბებასა და მის ფუნქციონირებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის მუშაკები:

ღირსების ორდენით:

შენგელი ალექსიშვილი — დირექტორის მოადგილე; **ნინო ჯღამაძე** — დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ღირსების მედლით:

მანანა ახვლედიანი — კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; **მარინა ბალავაძე** — ფუნქციური დიაგნოსტიკური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; **მერაბ ბერაია** — მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; **ნინო ლაითაძე** — ნეიროდიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი; **ქეთევან ტორონჯაძე** — რენტგენოდიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი; **ნანა ჩიღვინაძე** — კლინიკური განყოფილების უფროსი ექთანი; **სვეტლანა ხითაროვა** — განყოფილების გამგე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

2001 წლის 12 ოქტომბერი ქ. თბილისი

ზესტაფონის რაიონში დასაქმებულ სხვადასხვა დარგის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ზესტაფონის რაიონის აღმშენებლობაში, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ზესტაფონის რაიონში დასაქმებული სხვადასხვა დარგის მუშაკები:

ღირსების ორდენით:

ნორა აბესაძე — სოფელ კვალითის საშუალო სკოლის მასწავლებელი; **მარიამ ალავიძე** — №2 საშუალო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი; **ბადრი ბურჯანაძე** — სააქციო საზოგადოება „ფეროს" საავადმყოფო-პოლიკლინიკის ქირურგიული განყოფილების გამგე; **თინა თუთბერიძე** — №1 სამუსიკო სკოლის დირექტორი; **ლეილა მახარაძე** — რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, სახალხო თეატრების საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი; **გურამ ქათამაძე** — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გიგანტის" დირექტორი, საქართველოს ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი.

ღირსების მედლით:

მერი გასიტაშვილი — ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკი; **ომარ გველესიანი** — რაიონის მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე; **ნანული კაპანაძე** — რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი; **თამარ მასხარაშვილი** — შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბავშვთა პოლიკლინიკის დირექტორი; **ოლია მოდებაძე** — №7 საშუალო სკოლის მასწავლებელი; **რევაზ ნებიერიძე** — რაიონის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე; **ნელი რუხაძე** — ხელოვნების გიმნაზიის სასწავლო ნაწილის გამგე; **ქეთევან ჩუბინიძე** — სოფელ მეორე სვირის №2 საშუალო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი; **ჯონდო ჯანიაშვილი** — სპორტული სკოლის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

ე. შევარდნაძე.

სურსათით დატვირთული ავტომანქანები არ გაატარეს

მესტიის მიმართულებით მიმავალ გზაზე სოფელ ჯვართან დსთ-ს სამშვიდობო ძალებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სურსათით დატვირთული ორი სატვირთო ავტომანქანა კოდორის ხეობაში არ გაატარეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილემ თამაზ ალანიამ აცნობა, სამშვიდობოებმა თავიანთი გადაწყვეტილების მიზეზად ის დაასახელეს, თავდაცვის სამინისტროს სურსათის ნაცვლად იარაღი გადაჰქონდაო.

ალანია არ ადასტურებს რუსული მედიის გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს სამშვიდობოებსა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს შორის შეტაკება მოხდა.

სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის თქმით, სამშვიდობოებმა მომხდარის გამო თავიანთი ბლოკ-საგუშაგო გაამაგრეს და სხვა საგუშაგოდან ორი „ბეტეერი დაამატეს".

ინფორმაცია მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

დღის თემა

საქართველოსთვის თუ საქართველოს წინააღმდეგ?

(პირველი გვერდიდან)

ჩვენ გვეხება, რადგან რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ გუშინ მიიღო დოკუმენტი, რომელმაც მსოფლიოს დაანახა, რომ თანამედროვე რუსეთის კანონმდებლებს იმპერიული ჭია ჭამთ და მოსვენებას არ აძლევთ.

სახელმწიფო სათათბირომ მიიღო „განცხადება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობის შესახებ", განცხადება — ულტიმატუმი, გნებავთ, სახელმძღვანელო საშუალება ორმაგი სტანდარტებით მოღვაწეთათვის.

„ასე და ამრიგად, ჩვენი იმედები „დუმაზე" გაქრნენ".

გამყინვარების პერიოდი დამდგარა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში — გადაგრიალდა ეს სახელმწიფო მანქანა კაცისა და სანისის პერიოდისაკენ, როცა ვლადიმერ ულიანოვი სისხლითა და მახვილით ამკვიდრებდა წითელი რუსეთის იმპერიულ დიქტატურას მცირე ქვეყნების ძვლებზე.

ჟირინოვსკის, ნემცოვის და საბჭოთა პატრიოტების ყოფილა რუსეთის „დუმა". და კიდევ ერთი პატარა, ჩაკუჩატებული წვერმოშვებული უსქესო წარმონაქმნის, რომელიც დღეგამოშვებით „ორტეს" ეკრანზე გამოჩნდება და ლეონტიევთან უნისონში უნიჭოდ მღერის.

გვარი აქვს იმ მუცლითმეზღაპრეს, მაგრამ არ მახსენდება: იმის ბანჯგვლებაშვებულობაში დაიკარგა სადღაც.

„ბატონი ედუარდ, ბატონი ედუარდ!" იმდენი იბუყბუყა ეკრანზე ამ ფორმადაკარგულმა რაღაცამ, რომ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რა ძვალიც დაადგათ ყელზე.

ყელში გაეჩხირათ.

ახალი არაფერია ამ ცის ქვეშ. ყველაფერი მეორდება. რუსეთის მასმედია იმავე სცენარით მუშაობს, როგორიც კრემლის რეჟისორებმა დაუდეს აფხაზეთის ომის დროს: კვლავ, თავდასხმა საქართველოს ლიდერზე — ამით იწყებენ, კვლავ — ქართველები, როგორც აგრესორები — ამით აგრძელებენ; კვლავ — საწყალი და საცოდავი აფხაზები, რომლებსაც ჩაგრავს „საქართველოს იმპერია", — ამით ეცრემლებიან.

მაგრამ ეს გაკვეთილი ხომ უკვე გავიარეთ?

ვითომ?

НТВ და მისი ლამის ბუღბული მიტკოვა აფხაზეთის კონფლიქტის დროს პირველი იყვნენ „ქართველ აგრესორთა მხილებაში". ჩვენ თავი გადავლეთ, აგერ სულ ცოტა ხნის წინათ, **НТВ**-ს ჩაგრავენ, ილუპება მართალი სიტყვა, ხმაურიან-ყვირილიანი აქციაც კი მოვაწყვეთ ვერეს პარკში. დღეს იგივე **НТВ** და იგივე მიტკოვა (ახლა ის ხელმძღვანელობს ამ არხს), სხვებიც — სხვა არხებიც და გაზეთებიც გაშმაგდნენ და... აფხაზთა მხარეზე დადგნენ.

ჩვენ კი თავს ვიკლავდით. ომი დაიწყო, ომი ინფორმაციული და თუ რამ შეგვიძლია, დავუპირისპიროთ რუსეთის ამ მონსტრს, ეს არის ჩვენი სიმართლე.

და ამ სიმართლის მხარეზე დგომა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე რომ არ არის?

მტრის რეზიდენტის მოხსენებას ჰგავს, ცენტრისთვის გაგზავნილს, „ახალ ვერსიაში" ვინმე ზეიად ფოჩხუას წერილი, „სამხედრო ოპერაცია აფხაზეთში — ავანტიურა სახელმწიფოს წინააღმდეგ".

ვის სალამურს აკვნესებს, თუნდაც გუშინდელი „ახალი ვერსია" წერილით „კოდორში ქართული ჯარი შეჭრაო"?!

„ვინ ხარ შენ, სხვას რომ განიკითხავ?" (რომ. 14,4).

არსად, არც ერთ ქვეყანაში — განვითარებულსა თუ განვითარებადში — არავინ, არც ერთი ჟურნალისტი თავს უფლებას არ მისცემს ომისპირას მდგარი თავისი ქვეყნის მთავარსარდლის შესახებ იხითხითოს უნიჭო ობივატელის საცოდაობით.

ჩვენ — კი.

მეტიც — იმედს ვუწურავთ ხალხს. როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „აი, ჭეშმარიტი მამულიშვილობა".

ხელმოცარული მედროვენი მომენტს რომ ჩაებღაუჭებიან, შურსა და ბოღმას რომ გადმოანთხევენ და სოხუმისკენ გზას ხელისუფლების შეცვლით გაიკვლევენო, აწიოკდებიან, ვითომ უნდა აცეტდეს გაზეთი და — ანტრე, ბატონო, მობრძანდით, იბაირამეთო, — ფინალზად გაეფინოს?

„ითხოვთ და არ გეძლევათ, რადგან ბოროტს ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმანი დაიკმაყოფილოთ" (იაკობი, 4, 3).

ვისზე ნაკლები ოპოზიციური გაზეთია „ახალი ეპოქა", რომელმაც ზუსტად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და ადეკვატურად შეაფასა? საქართველოს ხელისუფლებაო, წერს, ცდილობს პირშერცხვენილი არ გამოვიდესო.

სამაგიეროდ ინტრიგებში და ბინძურ კარიკატურებში იხრჩობა „რეზონანსი".

საქართველოს ბომბავენ!

„...გარს შემომეხვივნენ მე ძაღლები, ბოროტთა ხროვა წრედ შემომერტყა..." (ფსალმუნი, 21 (22), 17).

რა ვქნათ ჩვენ, ვიქილიკოთ, თუ იმ სიმართლეს ამოვუდგეთ მხარში, რომელსაც საქართველოს სიმართლე ჰქვია?

„სიმართლის ნაყოფი მშვიდობით ეთესებათ მშვიდობისმყოფელთ". (ეს. 32, 17).

სიმართლის მადლი...

ჩვენი ქვეყნის, ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის გამარჯვებაა და, იმისაც, რომ ახალი მსოფლგაგება მკვიდრდება სივრცეში ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე, ფაქტი, რომელიც წუხელ რუსეთის საინფორმაციო სააგენტომ „რია-ნოვოსტიმ" გაავრცელა:

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, — წერს სააგენტო, — რომ „რუსეთს გადაწყვეტილი აქვს შეასრულოს ვალდებულება თავისი ჯარების გაყვანის თაობაზე თავისი ბაზიდან აფხაზეთში", და ამას გააკეთებს „საქართველოს შიდაპოლიტიკური პრობლემების მიუხედავად, რომლებიც აფხაზეთთან არის დაკავშირებული".

რუსეთი არ აპირებს რაიმე ღონისძიების განხორციელებას, გარდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის გაძლიერებისა, მთელს სიგრძეზე.

შემდეგ:

საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობის სირთულეს რუსეთი განიხილავს, როგორც შიდაქართულ პოლიტიკურ პრობლემას, და რუსეთი არ აპირებს ჩაერიოს კონფლიქტებში მესამე ქვეყნების ტერიტორიაზე.

და ბოლოს:

რუსეთის პრინციპული პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში უცვლელია, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს", — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

აგაშენა ღმერთმა!

იქნებ რუსეთის პრეზიდენტის ამ პოზიციამ, დაამოშმინოს რომის პაპზე უფრო კათოლიკე რუსეთის ტელევიზია და პრესა?

ყველამ თავისი ტვირთი ზიდოს.

არმაზ სანებლიძე.

კანონმდებლები

პარლამენტი რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოს მოუწოდებს ურთიერთობის ნორმალიზებისაკენ

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ 11 ოქტომბერს სახელმწიფო სათათბიროს აგრესიული განცხადება საქართველოს მიმართ იმსახურებს მწვავე რეაგირებას, მაგრამ თვლის, რომ ამჯერად სათათბიროს დეპუტატთა პოლიტიკური ნების გამოხატვას საფუძვლად ედო რუსეთის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რის გამოც დეპუტატთა განცხადება აშკარად გასცდა დიპლომატიის კლასიკურ ფარგლებს და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც გამოსაყენებელი აქვს რუსეთისა და საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებას.

საქართველოს პარლამენტი ამჯერად იტოვებს არსებული რეზერვების სრულყოფილად გამოყენების უფლებას და მოუწოდებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, პატივი სცეს ქართულ-რუსული ურთიერთობის მეოხებით მოპოვებულ ფასეულობებს და თავი შეიკავოს აგრესიული გამოხდომებისაგან. ამასთანავე პარლამენტი აცხადებს, რომ მზად არის ნებისმიერ დროს კონსტრუქციული დიალოგის გზით მოაწესრიგოს ორ მეზობელ ქვეყანას შორის ბოლო დროს შექმნილი შეუფერებელი ურთიერთდამოკიდებულება და მოუწოდებს ორივე სახელმწიფოს ხელისუფლების ყველა შტოს ურთიერთობის ნორმალიზებისათვის.

საქართველოს პარლამენტის განცხადებას თან დაერთო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ მომზადებული განცხადება. საქართველოს პარლამენტმა დღესვე მიიღო მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისადმი. ამ მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტის დეპუტატები ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ ქართულ-რუსული ურთიერთობის მორიგი გამწვავების გამო და მოუწოდებენ საქართველოსა და რუსეთის პირველ პირებს, ყველა ღონეს მიმართონ ჩვენს ქვეყნებს შორის წლობით წარმოებული გამოუცხადებელი „ცივი ომის" დამთავრებისათვის. საქართველოს პარლამენტი მიიჩნევს, რომ ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლურ ურთიერთობას ალტერნატივა არ გააჩნია და მოუწოდებს პრეზიდენტებს, რომ სასწრაფოდ გამონახონ დრო პირადი შეხვედრისათვის და დასაბამი დაუდონ ქართულ-რუსული ურთიერთობის ჩიხიდან გამოყვანას და გაუმჯობესებას.

პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას განცხადებას რუსეთის ტელევიზიის მიერ გადმოცემული ინფორმაციის თაობაზე, რომ პრეზიდენტმა პუტინმა გააკეთა განცხადება აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის შესახებ, დეპუტატები ტაშით შეხვდნენ.

საქინფორმი.

სახელმწიფო მინისტრი

ელექტროენერგიის ტარიფი — პრობლემატური და მტკივნეული საკითხი მოსახლეობისათვის

საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგებისა და ჩვენს ქვეყანაში კომპანია „ეი-ი-ეს თელასის" საქმიანობის პერსპექტივა განიხილეს 12 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა და ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკ დინმა. შეხვედრას ესწრებოდნენ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი, საქართველოში ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს —იუსაიდის ხელმძღვანელი მაიკლ ფარბმანი.

როგორც გიორგი არსენიშვილმა განაცხადა, პარლამენტში უკვე წარდგენილია საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებათა პროექტი. საკანონმდებლო ორგანო მომავალ კვირას განიხილავს ამ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს „ეი-ი-ეს თელასის" მოთხოვნას — მოსახლეობისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის დანაკარგებზე დამატებითი ღირებულების გადასახადის მოხსნის შესახებ. ასევე საქართველოს მხარე ახლო მომავალში გადაწყვეტს 300-მდე ენერგომომარაგების ობიექტის პრივატიზების საკითხს.

რაც შეეხება „ეი-ი-ეს თელასის" მოთხოვნას, ელექტროენერგიის ტარიფის საკმაოდ გაზრდის თაობაზე, სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ ეს ქვეყნის მოსახლეობისათვის ძალიან პრობლემატური და მტკივნეული საკითხია, ამიტომაც კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს ქართული მხარის წინადადება ტარიფის მხოლოდ 2,5 თეთრით გაზრდაზე.

— იმ შემთხვევაში, თუკი კომპანია „ეი-ი-ესი" საქართველოდან წავა, ორივე მხარის ინტერესი დაზარალდება, — აღნიშნა გიორგი არსენიშვილმა.

ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ნიკ დინმა და განვითარების საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა მაიკლ ფარბმანმა მადლობა გადაუხადეს სახელმწიფო მინისტრს აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რამაც ეფექტიანი შედეგი მოიტანა არა მარტო ენერგეტიკის, არამედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მთელ რიგ სფეროებში.

საქინფორმი

გამარჯობათ!

ქვეყანას მიხედვა უნდა, ქვეყნის მიხედვა კი არავის უნდა

(პირველი გვერდიდან)

რატომ ხვდებიან რუსი პოლიტიკოსები თავიანთი პრეზიდენტის განცხადებას ნატოში შესაძლო გაწევრიანებაზე კმაყოფილებით და რატომ აღაშფოთებთ საქართველოს პრეზიდენტის ჩრდილოატლანტიკური ბლოკისკენ აღებული გეზი?

რატომ, რატომ, რატომ?..

იმიტომ, რომ ჩვენი ჩაკვერხა ნებავს!

ჩაკვერხა კი იმიტომ ნებავს, რომ, ჯერ ერთი, იოლად ჩასაკვერხი ბეკეკა ვართ, მეორეც, ხშირად უდროოდ და უადგილოდ ვიცით აკუნტრუშება და, მესამეც, ჯერაც ვერ გაგვირკვევია, საბოლოოდ საით მივბალახობთ, ჩრდილოეთისკენ თუ დასავლეთისკენ! ისიც ვერ გაგვიცნობიერებია, რომ საძოვარი იმისაა, ხან ზევით უნდა აჰყვე და ხან ქვევით დაჰყვე. არც იმდენი უნდა იკიკინო და იხტუნო, რომ მგელს შეახსენო, შენი სადილობის დროაო.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრიობა უაღრესად შეშფოთებულია რუსეთ-საქართველოს შორის ისეთი ნაპრალის გაჩენით, რომელიც შეიძლება უსკრულადაც კი იქცეს, იგი არ გადაზრდილა და არც შეიძლებოდა გადაზრდილიყო რუსოფობიაში. ეს, პირადად მე, იმის იმედს მიტოვებს, რომ ნაპრალი საბოლოოდ არ იქცევა უფსკრულად.

არ შეიძლება არ გაგაოცოს დიდი რუსეთის საზღაპრო მალემრწმენობამ და ულოგიკობამ, „სახელმწიფო სათათბიროს განცხადებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მდგომარეობის შესახებ" დეპუტატებმა თითქმის ერთხმად მისცეს ხმა. მერედა ვის მიერ იყო ჩაწოდებული ეს ყველაფერი?

კომუნისტ ანატოლი ჩეხოევისა, რომელიც ოსებმა თავის დროზე პირდაპირ ნაგავივით მოისროლეს თავიდან. მახსოვს: 90-იანი წლების დასაწყისში, ცხინვალში, გაფითრებული და აკანკალებული თავისი კაბინეტიდან ცხვირს ვერ ჰყოფდა და მიკნავებული ხმით აგინებდა ყველას და ყველაფერს, განსაკუთრებით, ოს არაფორმალებს.

ოდიოზური ჟირინოვსკისა, რომლის მრისხანე ტირადას, ქართველები დღეს ცდილობენ ხელი აფათურონ აფხაზეთის საქმეში, ხვალ ოსეთს მიადგებიან, ზეგ კი ჯავახეთს და ახალქალაქსო, როგორ თუო, დასტურის ნიშნად თავს უქნევდა მთელი სათათბირო.

არადა, რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს!

ნუ მივიჩნევთ, რომ რაკი ამ ყბადაღებული ვლადიმერ ვოლფოვიჩის მიერ არის განცხადებული, ყურადღების მიქცევად არ ღირს. სწორედაც რომ ღირს. მას სულგანაბული უსმენდნენ და განცხადების ერთსულოვანი მიღებითაც დაადასტურეს, რომ თურმე საქართველოს არაფერი ესაქმება „აფხაზიაში", „ასეტიაში" და „ჯავახეტიაში".

ამ „ჯავახეტიიდან" ბევრს უნდა ველოდეთ. დიდხანს ჰქონდათ შემონახული კრემლის სტრატეგებს „ზაგაჟნიკში" და ახლა სწორედ მისი აფეთქების დრო დაუდგათ.

საქართველო განსაცდელის წინაშე დგას. არადა, ჩვენი „გონიერი, მორსმჭვრეტელი და პატრიოტი" პოლიტიკოსები (მათ კვალდაკვალ კი მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენელიც) ახლა იწყებენ იმას, მტერიც რომ არ გიზამს: მასირებულ მსჯელობას, რომ „აფხაზეთის დასაბრუნებლად საჭიროა არსებული ხელისუფლების შეცვლა", რომ „იგორ გიორგაძე ის კაცი არ არის, თავისი ხალხის წინააღმდეგ გამოვიდეს"...

პოპულისტებსაც „ალოობა" აქეთ. მომენტია: აიქაფე პირი და მიითვალე ხმები სახვალიო, საპოსტმევარდნადიო...

ჩვენი ტელევიზია კი შესამური გულმოდგინებით გადმოსცემს ყველა საიდუმლოს, თუ რამ აქვთ სახელმწიფოსა და არმიას.

არადა, ქვეყანას მიხედვა უნდა. ქვეყნის მიხედვა კი არავის უნდა — თავის ატკიება არ სურთ. მხოლოდ ლაქლაქით რა საქმე გაკეთებულა! ყველაფერი ერთი კაცის — პრეზიდენტის მხრებზე შეაგდო და მერე გაკეთებულზეც და გაუკეთებულზეც პასუხი მხოლოდ მას მოჰკითხო, რომელ კარაბადინში სწერია?

მორიგე რედაქტორი.

გამოძიება

გაიხსნა თბილისის პროკურორის მკვლელობა

თითქმის 8 წელიწადი დასჭირდა თბილისის პროკურორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის გახსნას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას, დამნაშავეობასთან შეურიგებლობასა და პრინციპულ მოქმედებას შეეწირა. საკუთარი სახლის სადარბაზოსთან ვერაგულად ნასროლმა ტყვიამ, მათ შორის, საკონტროლომაც (თავში), მაშინვე ცხადი გახადა, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო. შეკვეთილი მკვლელობის გახსნა ერთობ რთულია, მაგრამ სამართალდამცავებმა იგი იმთავითვე პრესტიჟის საქმედ მიიჩნიეს და ნაბიჯნაბიჯ მიიწევდნენ წინ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის თამაზ ჭუმბურიძის განცხადებით, ამ დღეებში დააკავეს ყოფილი სამხედრო პოლიციელი კობა გურგენიძე, რომელსაც სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამდენი ხნის ბურუსით მოცულ ბოროტებას ფარდა აეხადა გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის, შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძისა და თბილისის პოლიციის ახალი თავკაცების — კახა ბაკურაძისა და დავით ვეკუას გამიზნული ხელმძღვანელობითა და დაჟინებული მოქმედებით, რამაც სწორ კვალზე დააყენა როგორც ოპერატიული, ისე საგამოძიებო სამსახურები.

პარალელურად გახსნილია მეორე არანაკლებ ვერაგული მკვლელობის საქმეც. როგორც საზოგადოებამ უწყის, 2000 წლის 5 ივნისს ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე სასიკვდილოდ დაჭრეს საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის თანამშრომელი ზაზა ნაყეური, რომელიც სულ მალე საავადმყოფოში გარდაიცვალა. დაკავებულია ვინმე თამაზ გაბრომშვილი, რომელსაც ზაზა ნაყეურის მკვლელობის გარდა, ჩადენილი აქვს კიდევ არაერთი უმძიმესი დანაშაული.

როგორც პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის (მამუკა გილიგაშვილი, პაატა ტყემელაშვილი, მამუკა გვარამია, გიორგი თეთრაძე, კახა სირაძე, ლევან მიქაბერიძე), ისე პოლიციის ოპერატიული სამსახურის (კახა ჩინჩალაძე, მალხაზ მაჩიტაძე, ზაზა ღუნდუა, ბესო მამუჩიშვილი) დიდი პროფესიული ოსტატობის მეოხებით, ბანდის წევრების ოჯახებიდან ამოღებულია არა მარტო ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ ნაყაჩაღარი ნივთები, მათ შორის, ავტომანქანები, რომლებიც თავიანთ კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდებათ.

ბონდო გულიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსკლუზივი

გეოპოლიტიკური თამაშები ისტორიის კუთვნილებაა

ინტერვიუ სახელმწიფო მინისტრის პირველ მოადგილესთან, სახელმწიფო კანცელარიის უფროსთან პეტრე მამრაძესთან

(პირველი გვერდიდან)

ბუნებრივია, ასეთი რუსეთი იქნება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, საუკეთესო გარანტი საქართველოს დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის. ვინაიდან, ასეთ რუსეთის ძალზე უნდა სჭირდებოდეს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მისი მოსაზღვრე ქვეყნები იყვნენ აგრეთვე დემოკრატიული, გამთლიანებული და სტაბილური.

პრობლემა ის არის, რომ დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დამდგარ რუსეთში ჯერ კიდევ მძლავრია ისეთი ძალები, რომლებსაც ხშირად „რეაქციულს" უწოდებენ. ეს ძალები ცდილობენ რუსეთის იმპერიისა და იმპერიული გავლენის ამა თუ იმ ფორმით აღდგენას, ამისათვის უწყობენ ხელს კონფლიქტების გაღვივებას მოსაზღვრე ქვეყნებში, სამხედრო გავლენის შენარჩუნებას და ასე შემდეგ. ეს პოლიტიკა, ცხადია, საზიანოა რუსეთის ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესებისათვის და იმ ქვეყნებისათვის, რომელთა მიმართ იგი ხორციელდება. მახსენდება რუსეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის კოზირევის მწარე შეფასება, რომ არასწორი საგარეო პოლიტიკის შედეგად რუსეთის მეგობრებად დარჩნენ მხოლოდ დიქტატორები — სადამ ჰუსეინი, მუამარ კადაფი, მილოშევიჩი და სხვები.

ცხადია, ყოველივე ამას ღრმა ობიექტური და ისტორიული მიზეზები აქვს. ისტორიის მოყვარულთათვის ეს მიზეზები გასაგებია და მათ ანალიზს აქ არ შევუდგები, გავიხსენებ კიდევ იმას, რასაც ცნობილი რუსი პოლიტოლოგი წერდა: რუსეთის საზოგადოების დეკონსოლიდაციის გამო რუსეთში არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების დამცველი ძალა, ასეთ დროს კი, თვით ინტერესების არსებობაზე საუბარს ნაკლებად აქვს აზრი. ყველაზე უარყოფითი, რაც ამ რეაქციული ძალების ძალისხმევით მოხდა ჩვენს ურთიერთობაში, არის რუსეთის როლი აფხაზეთის კონფლიქტში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევაში.

მოგეხსენებათ, ამაზე რუსეთი [illegible] სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე ამზადებდნენ და შემდეგ აფხაზეთში გზავნიდნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ბოევიკებსა და ტერორისტებს– რუსებს, ჩეჩნებს და სხვა ჩრდილოკავკასიელებს. რუსეთის რეაქციული ძალები აშკარად ეხმარებოდნენ აფხაზ სეპარატისტებს საბრძოლო ტექნიკით, ტყვია-წამლით და ინსტრუქტაჟით. ბატონი ედუარდ შევარდნაძე საჯაროდ აფრთხილებდა რუსეთს, რომ ეს მანკიერი პოლიტიკა ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა თვით რუსეთს და, უწინარეს ყოვლისა, ჩეჩნეთსაც. საგულისხმოა, რომ, როდესაც ეს პროგნოზი გამართლდა, ყოფილ მოხალისეებს მაშინვე ტერორისტები უწოდეს. აქ კომენტარი უკვე ზედმეტია.

აფხაზეთში მოქმედი აგრესიული სეპარატისტები და ტერორისტები სარგებლობდნენ აშკარა პოლიტიკური მხარდაჭერით. შეიძლება მრავალი განცხადების გახსენება. რად ღირს თუნდაც მაშინდელი თავდაცვის მინისტრის გრაჩოვის განცხადებები, რომ ქართველები თვითონ ბომბავენ გადაღებილი თვითმფრინავებიდან საკუთარ მოსახლეობას სოხუმში, და შემდეგ აბრალებენ რუსებს... (მსგავსი განცხადება გააკეთეს ამჯერადაც, როცა კოდორის ხეობა დაბომბეს). ან მისი „გულახდილი" აღსარება, რომ აფხაზეთის ტერიტორიისადმი რუსეთს სტრატეგიული ინტერესი აქვს, ამიტომ რუსეთი არ დაუშვებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

— ქართულ მხარეს მიაჩნია, რომ რუსეთის რეაქციული ძალების წინასწარ შედგენილი სცენარით დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ ისიც ხომ ნათელია, რომ იმ ომში მონაწილე ჩეჩნებს, ჩვენ ფართოდ გავუღეთ კარი!.. და აქვე ვიკითხოთ: უწყობდა თუ არა რუსეთი ხელს ტერორიზმს ალმავლობას?

— შეგახსენებთ, რომ ჩვენმა ლიდერებმა, თავის დროზე აღიარეს, რომ აფხაზეთის კონფლიქტში მათი მონაწილეობა უდიდესი შეცდომა იყო. მათი განმარტებით, ეს იყო რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებული აქცია.

როდესაც საქართველოს მოსახლეობას ათასობით ჩეჩენი ლტოლვილი მოაწყდა (ბავშვები, ქალები, უმწეო მოხუცები), ჩვენი ხალხი და ხელისუფლება ჭეშმარიტად მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. არავის უფიქრია შურისძიებაზე, ჩვენ მოვიქეცით ისე, როგორც ეკადრებოდა მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, როგორც უნდა მოქცეულიყო ცივილიზებული ერი. საქართველომ ფართოდ გაუღო კარი ლტოლვილებს. ჩვენმა პრეზიდენტმა მიმართა დახმარებისათვის გაეროს, წითელ ჯვარს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. სწორედ მათი დახმარებითა და მონიტორინგით განხორციელდა ლტოლვილთა მიღება და განთავსება. ამის პასუხად, რუსეთის რეაქციულმა ძალებმა ნამდვილი საინფორმაციო ომი გამოგვიცხადეს. საქართველოს საჰაერო საზღვარი არაერთგზის დაირღვა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავების მიერ, საზღვრისპირა რეგიონები რამდენჯერმე დაიბომბა კიდეც.

ამავდროულად, ჩვენ მივმართეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა ეუთო, რათა განხორციელებულიყო მონიტორინგი საქართველო-რუსეთის საზღვრის შესაბამისი მონაკვეთისა რუსეთის მონაწილეობით და არ დაეშვა ბოევიკების მიერ საზღვრის გადმოკვეთა. მონიტორინგი განხორციელდა, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, რუსეთის მხრიდან ხელის შეშლის გარდა, სახარბიელო არაფერი ყოფილა.

— თქვენ ახსენეთ რუსეთის რეაქციული ძალები, რომლებიც დღესაც ანტიქართულ პოლიტიკას „ქადაგებენ", მაგრამ რატომ არაფერს ამბობთ ანტირუსული ტენდენციების მატარებელ ჩვენს რადიკალებზე?

— ჩვენში თუ რომელიმე რადიკალს რაიმე ანტირუსული განცხადება გაუკეთებია, ამას არავითარი გავლენა არ ჰქონია არც შიდა, არც გარე პოლიტიკაზე, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. სხვათა შორის, კომპეტენტური პირებისაგან ვიცი, რომ ჩვენს ამ „რადიკალთა" შორის, მხოლოდ უცხო ქვეყნის აგენტები არიან. ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ გაცილებით მეტი აგრესიული განცხადება კეთდებოდა და გაკეთდა რუსეთის არა მარტო პარლამენტარია, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ. ჩვენ არც ამაზე აგვიგია ჩვენი პოლიტიკა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა თავის დროზე მოახდინა შევარდნაძისა და ელცინის მიერ ხელმოწერილი საქართველო-რუსეთის დიდი ყოვლისმომცველი ხელშეკრულების რატიფიცირება, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ამ დოკუმენტის რატიფიცირება დღემდე არ გაუკეთებია. მიუხედავად ამისა, საქართველომ ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა რუსეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები.

რუსეთმა შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსთან, თან ისე, რომ აფხაზებს უვიზო რეჟიმი შეუნარჩუნა, ეს არის გაუგონარი რამ. ამან აღაშფოთა არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიო. არაერთხელ აღინიშნა, რომ ეს დე-ფაქტო, ანუ ანექსიის აღიარება და აგრესიული სეპარატიზმის ხელშეწყობაა. საქართველოს ხელისუფლება ახლა სთავაზობს რუსეთის მომზადდეს და ხელი მოეწეროს ახალ ყოვლისმომცველ ხელშეკრულებას, და თუ ეს პროცესი ჭიანურდება, ეს არ არის ჩვენი ბრალი.

— ბატონო პეტრე, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ცივი ურთიერთობა მაშინ დათბება, თუ რუსეთის ხელისუფლება გამოხატავს კეთილ ნებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები და რუსეთის მედიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია ამის არანაირ იმედს არ იძლევა... და მაინც, სად არიან ჩვენი ძლიერი მეგობრები, რათა ერთად შევებრძოლოთ ტერორიზმს, სეპარატიზმსა და ძალადობას?

— გეთანხმებით, ამ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია რუსეთის კეთილი ნებისა და ხელშეწყობის გარეშე. ამ მიმართულებით რაიმე მოძრაობა თუ დაიწყება, ეს უდიდეს გავლენას მოახდენს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე.

ჩვენ დიდ იმედს გვინერგავს პრეზიდენტ პუტინის პოზიცია და მხარდაჭერა ანტიტერორისტული კოალიციისადმი.

რაც შეეხება ჩვენს მეგობრებს, მოგეხსენებათ, საქართველოს ძლიერი და ერთგული მეგობრები, მსოფლიოში ცივი ომის შემდეგ დამკვიდრებული ახალი წესრიგი საიმედოდ უზრუნველყოფენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ახლა მთავარია, ჩვენ ვივარგოთ.

მინდა აღვნიშნო ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი: ჩვენ ვსაუბრობდით სახელმწიფოთა ურთიერთობაზე და არაფერი გვითქვამს ჩვენი ხალხების უშუალო ურთიერთობაზე. ბედნიერი ვარ, რომ ხალხებს შორის ურთიერთობამ ყველანაირ გამოცდას გაუძლო, მას ვერაფერმა ვერ მიაყენა ჩრდილი, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ათიათასობით ქართველი ცხოვრობს და მოღვაწეობს რუსეთში და არავითარ შევიწროებას არ განიცდიან. მჭიდრო კონტაქტები შეინარჩუნეს მეცნიერებმა, შემოქმედმა ინტელიგენციამ, იმართება მრავალი შესანიშნავი ღონისძიება და დარწმუნებული ვარ, უფრო მეტიც გაიმართებოდა, რომ არა ფინანსური პრობლემები და სხვა არაფერი. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არავითარი ანტირუსული განწყობა დიდი რუსი ხალხისა და მისი მდიდარი კულტურის მიმართ ჩვენში არ არის.

სწორედ ეს ვითარება გვინერგავს იმის მტკიცე იმედს, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაც ნორმალურ კალაპოტში შევა და ჩვენი დიდი ერთმორწმუნე მეზობელი რუსეთი ჩვენი საიმედო სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი იქნება.

P. S. 1994 წელს, უცხოეთში ყოფნისას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ჰკითხეს, რითი დავეხმაროთ საქართველოს? მისმა პასუხმა ბევრი გააოცა, თუმცა კომპეტენტური ადამიანებისათვის გასაგები იყო: „დაეხმარეთ რუსეთს! ეს იქნება საუკეთესო დახმარება საქართველოსადმი, სხვა ქვეყნებისადმი და მთელი მსოფლიოსადმი". ეს შეგონება დღესაც აქტუალურად ჟღერს.

იამზე კიკნაძე,
საქინფორმის კორ.

ორბიტაზე

მსოფლიო გაერთიანების ძალისხმევით

აფხაზეთის საკითხი ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე

ამ დღეებში პორტუგალიის ქალაქ პენია-ლინგში (ლისაბონთან ახლოს) გაიმართა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი კომიტეტის სხდომა (კომიტეტი აერთიანებს ეუთოს წევრი საპარლამენტო დელეგაციების ხელმძღვანელებს).

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია (მდივანი — ზვიად მირგატია). სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს აფხაზეთის პრობლემა.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში არსებულ აფხაზეთის საკითხთა („გაყინული კონფლიქტი") დროებითი კომისიის თავმჯდომარე ირჟი ოსიატინსკი. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად მრავალი დაპირებისა, აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა ეუთოს კომისიასთან თანამშრომლობაზე და კომისიის ხელმძღვანელი და წევრები ორჯერ არ შეუშვა აფხაზეთში.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის დელეგაციას საპარლამენტო ასამბლეაში და მის ხელმძღვანელს სელეზნიოვს შეუძლია კონსტრუქციული ზეგავლენა მოახდინოს აფხაზურ მხარეზე, მაგრამ ამ თვალსაზრისით და ამ ეტაპზე რუსეთი ან არ ან ვერ ავლენს კეთილ ნებას.

ბატონმა ოსიატინსკიმ აგრეთვე აღნიშნა, რომ კონფლიქტის მოგვარების აუცილებელი პირობაა რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების შეცვლა უკეთესობისაკენ.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ვახტანგ ყოლბაია. მან აღნიშნა, რომ აფხაზეთში სიტუაცია მეტად მძიმე და ფეთქებადსაშიშია, მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის, საქართველოს ხელისუფლების დიდი მცდელობისა და კეთილი ნებისა. სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. ქვეყნის მოსახლეობა, აფხაზეთიდან დევნილები სულ უფრო სკეპტიკურად უდგებიან საერთაშორისო ძალისხმევის ეფექტურობასა და რეალურ შესაძლებლობებს. უმძიმესია აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მდგომარეობა, მათი მოთმინების ფიალა გადავსებულია. აფხაზეთის რეჟიმის კელუცობა ე. წ. დემოკრატიული არჩევნებისა და თითქოსდა ცივილიზებული ნორმებით ხელმძღვანელობის შესახებ, თვალთმაქცური ნაბიჯებია მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შესაყვანად. სამწუხაროდ, ყველაფერი მთავრდება იმით, რომ ყოველი მათი „დემოკრატიული ძალისხმევა" დაიგმობა ხოლმე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ამით მთავრდება ყოველივე.

საჭიროა იქ არსებული სიტუაციის უკეთესად გაცნობა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა იმისაკენ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, მათ შორის იმას, რაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს იქ ხდებოდა და რაც ამჟამად ხდება. მან დააფიქსირა, რომ ქართველთა ეთნიკური წმენდა დღესაც გრძელდება და იქ ამჟამადაც იღუპებიან ადამიანები ორივე მხარეს.

ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, კერძოდ, ეუთოს შესაბამის სტრუქტურებს უფრო პრინციპული პოზიცია დაიკავონ აფხაზეთის რეჟიმის, მათი აგრესიული პოლიტიკის მიმართ.

აფხაზეთის საკითხებზე დებატები შეაჯამა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ სევერინმა (რუმინეთი). მან მოუწოდა რუსეთის ფედერაციას უფრო კონკრეტული როლი შეასრულოს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებაში და იმედი გამოთქვა, რომ ბატონი გენადი სელეზნიოვი და რუსეთის დელეგაცია, შესაბამისად პარიზში ეუთოს საპარლამენტთაშორისო სხდომაზე აღებული ვალდებულებისა (10 ივლისი, 2001 წ.), ყველაფერს გააკეთებენ გუდაუთის ბაზის ლიკვიდაციისათვის და ამჟამად რეგიონში არსებულ სიტუაციას არ გამოიყენებს საბაბად, რათა ბაზის საკითხი არ გაჭიანურდეს.

ბატონმა სევერინმა განაცხადა, რომ ოქტომბრის ბოლოს ეწვევა სამხრეთ კავკასიის სამივე რესპუბლიკას და საქართველოში ვიზიტის დროს აფხაზეთის საკითხი მოექცევა მისი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში.

გუშინ გაგრძელდა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტის სხდომა. განხილვის საგანი იყო დევნილთა და ლტოლვილთა მდგომარეობა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პრობლემურია.

განხილვაში მონაწილეობდა ბატონი ვახტანგ ყოლბაია. მან დაახასიათა აფხაზეთიდან დევნილთა უმძიმესი მდგომარეობა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ხელისუფლების, მსოფლიო გაერთიანების ძალისხმევის მიუხედავად დღემდე ვერ ხერხდება იძულებით გადაადგილებულ პირთა — დევნილთა საერთაშორისო სამართლით უზენაესად გამოცხადებული უფლების – მშობლიურ ეზო-კარში უპირობო დაბრუნების უფლების რეალიზაცია.

აფხაზური რეჟიმი არ აპირებს დაუშვას აფხაზეთში ომამდე არსებული დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა.

მანვე მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას, გაეროს, ეუთოს სათანადო სტრუქტურებს, გადადგან გადამწყვეტი ნაბიჯები პრობლემის მოსაწესრიგებლად.

ვახტანგ ყოლბაიამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება აგრეთვე, მიაპყრო აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენებზე.

მაია ხურციძე.

სხვისი თვალით

აფხაზეთი ტერორისტული ომის მესამე ფრონტის ბუმერანგად გვიბრუნდება

(პირველი გვერდიდან)

სამშაბათს, დილით ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას საყოველთაო მობილიზაციის შესახებ. აფხაზი ვიცე-პრემიერის ბესლან კუბრავას მონაცემებით, რომელიც გუშინ სანკტ-პეტერბურგში იმყოფებოდა, პანკისის ხეობიდან აფხაზეთში შესული შეიარაღებული ფორმირებები 400-დან 500-მდე მოთარეშეს და ე. წ. ქართველ პარტიზანებს ითვლის, მათ შორის 200 ქართველია — მეგრელი, დანარჩენები — ჩეჩნები და არაბები. აფხაზების დაზვერვა ამტკიცებს, რომ გალის რაიონში თავმოყრილია ე. წ. ქართველი პარტიზანების დაჯგუფება, რათა ქვეყნის ორად გაყოფის შემთხვევაში შეიღეს გალის რაიონის ტერიტორიაზე და იქ თავისი ძალაუფლება დაამყარონ.

ყველა ეს მოვლენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვეთრი გამწვავების ფონზე ვითარდება. 3 ოქტომბერს აშშ-ში ვიზიტის დროს ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას ედუარდ შევარდნაძემ ხისტად შეაფასა რუსეთის პოლიტიკა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უპასუხა განცხადებით, რომელშიც მკვეთრად დაგმო ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის პასაჟები. ეს განცხადება გაკეთდა 8 ოქტომბერს, ზუსტად მაშინ, როცა აფხაზეთის თავზე გაეროს ვერტმფრენი ჩამოაგდეს. ამ ტერაქტში რუსეთმა „არაპირდაპირ" — ასეთია საგარეო საქმეთა სამინისტროს ფორმულირება — დაადანაშაულა ოფიციალური თბილისი. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა გუშინ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია კონტროლი გაუწიოს სიტუაციას კოდორის ხეობაში.

1991 წელს საქართველოს წინა ხელისუფლება შეეცადა ძალით წაერთმია აფხაზეთისთვის ავტონომიის სტატუსი. ეს გადაიზარდა ხანგრძლივ ომში, რომელშიც რუსეთის პოზიცია დაუფარავად პროაფხაზური იყო, რაც ქვეყნისთვის, რომელშიც ჩეჩნეთის ომის ალი ღვივდებოდა, უკიდურესი სიბეცე იყო.

„მეამბოხე სუბიექტების" მიმართ ჩვენმა პოლიტიკამ — მეტროპოლიის კოლონიებისადმი დამოკიდებულების ლოგიკამ — დაუსრულებელ კონტრტერორისტულ ოპერაციამდე მიგვიყვანა ჩეჩნეთში.

ასეთივე ლოგიკამ დე-ფაქტო ორად გაყო საქართველო — ვითარებას აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.

მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გათავისებულ საერთაშორისო ტერორიზმის მუქარას თითქოს უნდა ეკარნახებინა რუსეთისთვის და საქართველოსთვის, ადეკვატურად შეეფასებინათ აფხაზეთის მოვლენები. ამის ნაცვლად ორმხრივი ბრალდებები გაისმის. თუ რუსეთი ჩაებმება აფხაზეთის ომში, ეს ავტომატურად გამოიწვევს ჩეჩნეთის ომის „ინტერნაციონალიზაციას". უფრო უარესს, იმ პირობებში, როცა რუსეთს თითქმის აუცილებლად მოუწევს შუა აზიის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კაცი ვერ მოიგონებს.

ქართული ვერსია

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი არმაზ ახვლედიანი:

— საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელზეც, სამწუხაროდ, საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, არცთუ სასიამოვნო პროცესები მიმდინარეობს. დაბომბვის შესახებ განცხადებები ძალიან ჰგავს იმ განცხადებებს, რომლებიც გვესმოდა მასმედიის სხვადასხვა საშუალებიდან, მათ შორის, სამწუხაროდ, რუსეთიდანაც, რომ საქართველოს ავიაცია ლამის საკუთარ ბაზებს ბომბავს. ქართველი პარტიზანები რაღაც ხარისხით შეიძლება იყვნენ დაკავშირებული რომელიმე ლოკალურ აქციასთან აფხაზეთის ტერიტორიაზე. მაგრამ რაც შეეხება დაბომბვას, ეს ზომაზე მეტად გაზვიადებულია. ეს, უბრალოდ, არარეალურია.

ქართველი პარტიზანები ის ადამიანები არიან, რომლებიც დაიბადნენ და ცხოვრობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებიც იქიდან გამოაძევეს, მათ შორის, რუსეთის იარაღის ძალითაც. ისინი ცდილობენ დაუბრუნდნენ თავიანთ კერებს. ოფიციალური თბილისი მათ მხარს არ უჭერს. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ უპირობოდ მხარს ვუჭერთ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების კურსს. მაგრამ ეს პოზიცია სურვილად დარჩება, თუ მეორე მხრიდანაც იგივე ნება არ გამჟღავნდა. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო აფხაზეთი, უფრო ზუსტად, საქართველოს ტერიტორია, რომელზეც არ ვრცელდება მისი იურისდიქცია, არამედ რუსეთიც.

აფხაზური ვერსია

რუსლან ხაშიგი, აფხაზეთის პრეზიდენტის პრესმდივანი:

— უაღრესად სერიოზული მოვლენები მოხდა 8 ოქტომბრის საღამოს, როდესაც გაეროს მისიისა და რუსეთის მშვიდობისმყოფლების ერთობლივ ჯგუფს გამოჰქონდა ვერტმფრენის კატასტროფის დროს დაღუპულთა ცხედრები. მისიის თხოვნით, ამ კოლონას იცავდა აფხაზეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. ერთ-ერთ ავტომანქანას სოფელ ნაასთან თავს დაესხნენ. გუშინ ღამეს მოთარეშეებმა კვლავ რამდენიმე თავდასხმა განახორციელეს. დაზუსტებული მონაცემებით, იქ 14 ადამიანი დაიღუპა — 5 სამხედრო აფხაზი და 9 მშვიდობიანი მოქალაქე. 9 ოქტომბერს, გამთენიისას საქართველოს სამხედრო ძალებმა კვლავ დაბომბეს იგივე გულრიფშის (?!) რაიონი. ძირითადი დარტყმის ეპიცენტრში იყო სოფელი ნაა და ზემოთ — კოდორის ხეობის გაყოლებით. შეტევა გამოწვეული იყო იმით, რომ იქ თავი მოიყარეს ჩვენმა ქვედანაყოფებმა და მოთარეშეებმა დახმარება ითხოვეს. საქართველოს მხარემ მათ ეს დახმარება აღმოუჩინა.

სამხედრო დახმარებისთვის მიმართვა (**ალბათ, იგულისხმება რუსეთისადმი. — მთარგმნელი**) ჯერ არ ყოფილა. ეს უნდა გააკეთოს პრეზიდენტმა, პარლამენტმა...

გაემგზავრებოდით სტუმრად საქართველოში?

ზურაბ წერეთელი, მოქანდაკე:

— რა ხდება საქართველოში? აფხაზეთს ბომბავენ? აი, თქვენ ეს მაცნობეთ და მე არ შემიძლია დავიჯერო, ეს ტრაგედიაა! ისეთი კეთილი მიწაა, მშვიდი ზღვა. კინოს ხალხი, სცენარისტები, მწერლები, მოქანდაკეები და მხატვრები საბჭოთა პერიოდში აქ ჩამოდიოდნენ, ისვენებდნენ, წერდნენ, ლექსებს უკითხავდნენ ერთმანეთს. ამჟამად არ ვაპირებ საქართველოში ჩასვლას, შემოქმედებით ვარ დაკავებული. მაგრამ თუ მეტყვიან, რომ უნდა გავემგზავრო, მზად ვარ.

რიმა კაზაკოვა, პოეტი:

— ჩემი გუნებგანწყობილება ამჟამად განგაშშია. არ გავემგზავრებოდი იმიტომ კი არა, რომ საშიშია, — ყველა დაშინებულია, მოსკოვში სიარულიც მეშინია. მყავს მეგობრები საქართველოშიც, აფხაზეთშიც, მაგრამ დიდი ხანია, არავინ მეპატიჟება, ბევრი წელიწადია, ბევრი ცოცხალი აღარ არის. ბევრჯერ შევჯახებივარ ეროვნებათშორის კონფლიქტებს. მახსოვს, ჩემი აფხაზი მეგობრები მეუბნებოდნენ, რომ სურდათ მხოლოდ ავტონომია საქართველოს ფარგლებში. ახლა ჩემი მეგობრების მთავარი ამოცანა კონფლიქტის ჩაქრობაა. ბევრი სხვაგვარად ფიქრობს. მათ შორის რომ დავდგე, დანას გამიყრიან. ვის ვჭირდები იქ? მე არა ვარ მშვიდობისმყოფელი ჯარისკაცი და არც პოლიტიკოსი ვარ. არავინ იქ არ მიწვევს.

ბორის კუზნეცოვი, ადვოკატი:

— მე წავიდოდი თბილისში, აფხაზეთშიც კი, სოხუმში. ყველგან მეგობრები მყავს. კოდორის ხეობაში კი არ წავიდოდი. ვფიქრობ, ახლა ლაპარაკია ჩეჩენი მოთარეშეების დაბომბვაზე, შეიძლება რუსეთის სამხედრო ძალების მონაწილეობითაც კი... საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს: რეზო გაბრიაძე, ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე. მართალია, ახლა ისინი გაფანტული არიან, მაგრამ რეზო გაბრიაძე თბილისში ცხოვრობს. აუცილებლად გამოვნახავ საშუალებას და ჩავალ, და ვერავითარი დაბომბვები ვერ გამაჩერებს.

არსენ ბორინსკი, საერთაშორისო საზოგადოება მემორიალის თავმჯდომარე:

— პირადი საქმე საქართველოში არ მაქვს, იქ, სამწუხაროდ, არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ ჩავიდოდი, თუ ამაზე იქნებოდა დამოკიდებული თუნდაც სულ მცირედით რეგიონში მშვიდობის დამყარება. რამე მნიშვნელოვანი საქმე რომ გამოჩენილიყო — სამშვიდობო კონფერენცია, ან მოლაპარაკება, დაუფიქრებლად გავემგზავრებოდი.

ირინა ჩურიკოვა, მსახიობი:

— საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ვიყავი. იქ ბევრი შესანიშნავი კოლეგაა, ვისთანაც გულითადი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ქართველები უაღრესად ნიჭიერი და სტუმართმოყვარე ერია. მე მეცოდებიან უბრალო ადამიანები, რომელთაც სურთ მშვიდობიანი ცხოვრება და თავიანთ ლამაზ და ნოყიერ მიწაზე შრომა. ჩავიდოდი, სერიოზული მიზეზი რომ გამოჩენილიყო. პატიოსნად ვაღიარებ: ბოლო მოვლენებმა შემაშინა. არ ვიცი, რა გავაკეთო. უნდა გავფრინდე ტიუმენში და სხვა ქალაქებში სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად, არადა, მეშინია. ისღა დამრჩენია, ვილოცო.

სიმონ ნოვოპრუდსკი.

„იზვესტია",
10 სექტემბერი.
იბეჭდება უმნიშვნელო შემცირებით.

გვწერენ

მეზობელო კარისაო...

დიღმის მასივის III კვარტლის 33-ე კორპუსის ბინადარნი მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს, ბატონ კობა ბუჩუკურს დაბადების დღეს ვულოცავთ.

ეს მილოცვა მცირედი გამოხატულებაა იმ დიდი მადლიერებისა, რასაც ბატონი კობას მიმართ განვიცდით.

ჩვენი კორპუსის მცხოვრებთათვის უცხო არ არის ტრადიციული მეზობლური ურთიერთობები. მეტად სასიხარულოა, რომ ჩვენს დიდ ოჯახს კობა ბუჩუკურის სახით შეემატა ღირსეული წევრი. ქვეყანაში შექმნილმა სოციალურმა მდგომარეობამ თითოეული ადამიანი საკუთარ პრობლემებში ჩაგვკეტა. ამ მძიმე ჟამს ბატონი კობა ძალისხმევას არ იშურებს, გვერდში რომ დაგვიდგეს და გაგვილამაზოს ცხოვრება.

ამის გამოხატულებაა მის მიერ კეთილმოწყობილი ეზო და ბავშვებისთვის ნაირგვარი გასართობი საშუალებებით აღჭურვა. არანაკლებია აგრეთვე თითოეული მოსახლის პრობლემის გულთან ახლოს მიტანა და მათი გადაწყვეტა.

ღმერთმა უმრავლოს თბილისელებს ასეთი ღირსეული მეზობელი.

კეთილი სურვილებითა და დიდი პატივისცემით,

33-ე კორპუსის მცხოვრებნი: ბელა გაბუნია,
გრიგოლ ლაშაჩი,
ლუიზა მინდიაშვილი,
რუსუდან ზაუტაშვილი,
ნანა მაისურაძე,
ნინო ლითანიშვილი.

თვალსაზრისი

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია

5. ეკონომიკური ფუნქცია და საერთაშორისო ტერორიზმი

ვაგრძელებ წერილს, რომელიც დაიწერა 11 სექტემბრამდე, ანუ იმ ავბედით დღემდე, როცა მსოფლიოს პროგრესული ძალები შეძრა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონზე განხორციელებულმა შემზარავმა ტერორისტულმა აქტებმა. ამ უმძიმესი მოვლენის ფონზე ბუნებრივია მკითხველს დაებადოს შეკითხვა იმის შესახებ, თუ საერთაშორისო ტერორიზმის აღზევებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის დროს რამდენად არის მოსალოდნელი საქართველოს ეკონომიკური ფუნქციის სახეცვლილება. და, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ქვეყანა. სწორედ ამან განაპირობა წერილის გაგრძელების აუცილებლობა.

მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე საქართველოსთვის ზემოხსენებული რევანშისტული საფრთხე გარკვეულ კორექტივს განიცდის, რაც, უმთავრესად, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მონაწილეობით, უფრო ზოგადად კი რუსეთის დამოკიდებულებით იქნება განპირობებული.

თეორიულად თავიდანვე შემდეგი ოთხი ვარიანტი გამოიკვეთა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თავად არის ჩეჩნური პრობლემებიდან გამომდინარე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებული, თეორიულად თავიდანვე არ იყო გამორიცხული მისი აშშ-თან დაპირისპირება ან საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ წამოწყებულ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისაგან თავის შეკავება და პასიური, ანუ ნეიტრალური პოზიციის დაჭერა.

პირველი ვარიანტის თანახმად, რუსეთი მისი საზღვრების სიახლოვეს აშშ-ის და ზოგადად დასავლეთის ზეგავლენის გაძლიერების შესაძლებლობას აშკარად უნდა დაპირისპირებოდა. თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდო იყო ამ რეგიონში არსებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ ინიციატივათა მხარდაჭერისას (რაც დღეს უკვე აშკარა გახდა), რადგანაც ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ამ ინიციატივათა შედეგიანობა, რუსეთი საზღვრისპირა რეგიონში მისი როლის დაქვეითების საშიშროების წინაშე დადგებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ყველაზე უფრო რეაქციულმა ძალებმა (რომლებიც სადღეისოდ უმცირესობას წარმოადგენენ) მისი პრეზიდენტისა და მთავრობისაგან მოითხოვეს მუსულმანური სამყაროს მხარდაჭერა, რაც საქართველოში პოლიტიკური რევანშიზმის საფრთხეს, აშკარად შეასუსტებს, რამეთუ ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ქართველობის შენარჩუნება, უწინარეს ყოვლისა, გაიგივებული იყო მუსულმანებთან დაპირისპირებაში ქრისტიანობის შენარჩუნებასთან.

პირველი ვარიანტის თანახმად, საქართველოს წინაშე მხოლოდ სოციალური რევანშის საფრთხე დადგებოდა და პოლიტიკური რევანშის თემა ფორმალურად მაინც უკანა პლანზე გადავიდოდა.

მეორე ვარიანტად განვიხილოთ რუსეთის მიერ ნეიტრალური პოზიციის დაკავება. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც პირველ ვარიანტში, რუსეთის მოსაზღვრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ ინიციატივათა მხარდაჭერის გამო რუსეთი ამ რეგიონში მისი როლის დაქვეითების საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა.

როგორც პირველ, ასევე მეორე ვარიანტში შეიქმნებოდა აშშ-ის და მთლიანად დასავლეთის როლის გაზრდის შესაძლებლობა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, პოლიტიკური რევანშის საშიშროებას საქართველოშიც შეამცირებდა.

მესამე ვარიანტის სახით განვიხილოთ რუსეთის აშშ-თან აქტიური პარტნიორობა. ამ შემთხვევაში რუსეთი პრინციპში შეინარჩუნებს ზემოხსენებულ მოსაზღვრე ქვეყნებზე ზეგავლენას, თუმც ის მცირედით მაინც შესუსტდება ამ რეგიონში აშშ-ის როლის ზრდის გამო. ასეთ ვითარებაში რუსეთსა და აშშ-ს შორის ჩამოყალიბებული დაპირისპირების გაფერმკრთალების ფონზე პოლიტიკური რევანშის მომხრეებს თავისი მიზნების საჯაროდ დაფიქსირება ძალზე გაუჭირდებათ. ამიტომ აქცენტი, ძირითადად, გადატანილი იქნება სოციალურ რევანშზე.

მესამე ვარიანტის ნაირსახეობაა მეოთხე, რომლის ალბათობა ყველა წინა ვარიანტთან შედარებით თავიდანვე უფრო დიდად ჩანდა და რომლის კონტურებიც თანდათანობით სულ უფრო რელიეფურად წარმოჩნდა.

ამ ვარიანტის თანახმად, რუსეთი აშშ-ის არა უბრალოდ აქტიური მხარდამჭერია, არამედ ყველა ღონით ცდილობს თავისი „შტრიხებიც" კი შემატოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას. კერძოდ, ეს გახლავთ **რუსეთში არსებული ტერორისტული საფრთხის ინტერნაციონალიზაცია**. მართლაც, ამ ეტაპზე უკვე აშკარად გამოიკვეთა რუსეთის მცდელობა ჩეჩნურ ტერორიზმს „მიანიჭოს" საერთაშორისო სტატუსი. ამის მიღწევის ყველაზე ადვილი გზა ჩეჩენ ტერორისტთა (რომლებიც რუსეთის მხარის მტკიცებით საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ჩეჩენ ლტოლვილთა შორის დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი) მფარველობაში საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულებაა. ამ მიმართულებით რუსეთის რეაქციული ძალების სასარგებლოდ მოქმედებდა არცთუ დიდი ხნის წინათ პრესაში გავრცელებული ცრუ ინფორმაცია მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის უსამა ბენ ლადენის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ყოფნის შესახებ.

ტერორისტთა მფარველობაში საქართველოს დადანაშაულების ყველაზე უფრო ცუდი სცენარით გაგრძელების შემთხვევაში რუსეთმა უნდა მიიღოს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელებისათვის, რაც სინამდვილეში სხვა არაფერი იქნება, თუ არა რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელებული აგრესია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი ასეთი მხარდაჭერის მიღების გარეშეც საქართველოს წინააღმდეგ დაუნდობელ ინფორმაციულ ომს აწარმოებს, რომ არაფერი ვთქვათ ქართული ტერიტორიების დაბომბვაზე.

ამ სცენარის საბოლოო რეალიზაციას თავად რუსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ტერორისტული აქტებისადმი დასავლეთის დამოკიდებულებამ უნდა შეუშალოს ხელი, რომლის თანახმადაც, ჩეჩნების მიერ მოწყობილი ეს აქტები რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ არის პროვოცირებული.

დღევანდელ ვითარებაში, იმის მიუხედავად, რომ აშშ ანტიტერორისტული ბრძოლით არის დაკავებული, საქართველოში რუსეთიდან მხარდაჭერილი პოლიტიკური რევანშიზმის საფრთხის თავიდან აცილებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთადერთ გარანტად მაინც აშშ და დასავლეთი ევროპა რჩება.

ოთხივე ვარიანტის განხილვა იძლევა მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ **აშშ და მასთან კოალიციაში მყოფი ევროპული სახელმწიფოები საქართველოს არა მარტო სტრატეგიული პარტნიორები არიან, არამედ მათი როლი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის შენარჩუნებაში განუზომლად იზრდება.**

ყველა განხილული ვარიანტის შემთხვევაში რევანშისტების მოქმედების ვექტორს, სხვა თანაბარ პირობებში, სოციალური მიმართულება ექნება.

საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია, როგორც ეს უკვე ითქვა, განპირობებულია მისი ადგილმდებარეობით იმ სატრანსპორტო არტერიაზე, რომელიც ევროპასა და აზიას აერთიანებს.

ანტიტერორისტული საომარი მოქმედებები გარკვეულად შეაფერხებს ამ სატრანსპორტო დერეფნის გამოყენების შესაძლებლობას. ასეთ ვითარებაში ერთგვარი პერსპექტივა ექმნება რუსეთის სატრანსპორტო არხების განვითარებას და ამ შანსს, ბუნებრივია, რუსეთი მაქსიმალურად გამოიყენებს.

ამასთან ერთად, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით იზრდება ევროპული ორიენტაციის მქონე ისეთი მუსულმანური სახელმწიფოების თანადგომა და მხარდაჭერა, როგორიც თურქეთი და აზერბაიჯანია. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოზე გავლით აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ენერგოშემცველების ტრანსპორტირების საერთაშორისო მნიშვნელობას.

თავდაპირველად აშშ-სა და ირანს შორის საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ ერთიანი პოზიციების შესაძლო წარმოჩენამ და აშშ-ის სპარსეთის ყურეში გააქტიურებამ შექმნა იმის მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში ერთობ მიმზიდველი გამხდარიყო სატრანსპორტო სქემა „დასავლეთი-სამხრეთი". კერძოდ, გაზრდილიყო ირანი-სომხეთი-საქართველო-ევროპა სატრანსპორტო არხის პერსპექტიულობა. თუმცა ირანი მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მაინც ვერ შეძლებს (და როგორც გამოჩნდა არც აპირებს) გახდეს აშშ-ის სრულფასოვანი პარტნიორი. სატრანსპორტო სქემის „დასავლეთი-სამხრეთი" პოტენციალი კვლავ დიდხანს დარჩება ბოლომდე აუთვისებელი.

რაც შეეხება ზემოხსენებული „ჩრდილოეთ-სამხრეთის" სატრანსპორტო არტერიის ამოქმედებას, აშკარაა, რომ მისი პერსპექტიულობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გამწვავების ფონზე კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდება. თეორიულად არსებობს მხოლოდ ერთადერთი შანსი (თუმცა საკმაოდ დაბალი ალბათობით) მისი ამოქმედებისათვის, თუკი ეს საჭირო გახდება სამხედრო ტექნიკისა და პროვიანტის ტრანსპორტირებისათვის (ბუნებრივია, აშშ-სა და რუსეთს შორის აქტიური თანამშრომლობის პირობებში). ეს თუნდაც თეორიული შანსი საქართველომ ხელიდან არ უნდა გაუშვას, რათა აშშ-ის უშუალო მხარდაჭერით მოხერხდეს აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად არსებითი ნაბიჯების გადადგმა.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ვთქვათ – საქართველოსთვის ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოციალური რევანშიზმი. მას კი ქვეყანაში კორუფციისათვის ეკონომიკური საფუძვლების გამოცლის, ეკონომიკური აღმავლობის გზით სიღარიბის აღმოფხვრის გარეშე ვერასოდეს ვერ დავძლევთ, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სერიოზული სისტემური რეფორმების გატარებას.

ვლადიმერ პაპავა.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" №249, 250, 251.

საუკეთესო ტენორი

მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავის პლასიდო დომინგოს სახელობის კონკურსზე, რომელიც ტრადიციულად ვაშინგტონში იმართება, წლეულს პირველად გაიცა საუკეთესო ტენორის პრემია. მისი მფლობელი ჩვენი თანამემამულე, ლა სკალას თეატრის სოლისტი ლაშა ნიქაბაძე გახდა.

ქუთაისელმა მომღერალმა, რომელიც კარუზოს პირველი პრემიისა და ვერდის ორი ოქროს მედლის მფლობელია, დომინგოს სახელობის კონკურსზე მეორე პრემიაც მოიპოვა. ჟიურიმ ის ესპანური მუსიკის საუკეთესო შემსრულებლადაც აღიარა. ქართველი მომღერლის საშემსრულებლო ხელოვნებით მოხიბლული პლასიდო დომინგო სცენაზე ნიქაბაძის გამოსვლისას თავად დირიჟორობდა ორკესტრს.

ახალი ქართული ელმავალი

თბილისის სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის" საამწყობო საამქროში გამოუშვეს ახალი სამგზავრო ელმავალი „ჩე-1". ამ ოთხღერძიან მანქანას შეუძლია განავითაროს საათში 120 კილომეტრამდე საკონსტრუქტორო სიჩქარე.

რკინის პროფილი... სენაკიდან

გორი-თბილისის გზის მონაკვეთზე საგანგებო ლეგიონის საბაჟო სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა, 7 ოქტომბერს დააკავეს „კამაზის" ტიპის ავტომანქანა, რომლის მძღოლს რაულ გვასალიას უდოკუმენტოდ სენაკიდან გადაჰქონდა 25 ათასი კილოგრამი რკინის პროფილი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და მედია-ნიუსმა.

განსჯა

ჩვენი ნეიტრალიტეტი შეიძლება რუსეთის საზრუნავიც კი გახდეს

უკანასკნელ დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ საქართველოს მიმართ რუსეთი თავის ტრადიციულ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ვერაფრით ელევა და ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში მასზე ზეწოლას მკვეთრად აძლიერებს. სამწუხაროდ, ხშირად საკმაო წარმატებითაც; ამის ერთობ ხელსაყრელ გარემოს ჩვენს საზოგადოებაში ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებზე უსაშველოდ გაჯანჯლებული მწვავე დისკუსიაც ქმნის. თავის მხრივ, კი იგი უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ეს საკითხები არსებული რეალიების ანალიზის, მათი გათვალისწინების კი არა, ძირითადად სასურველობისა თუ კონიუნქტურულ მოტივაციათა დონეზე განიხილება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მითითებული დისკუსიის მსვლელობისას მაინც მკაფიოდ გამოიკვეთა სამი მიმართულება: პროდასავლური, პრორუსული და, ასე ვთქვათ, ნეიტრალისტური, რომელთა შესაბამისადაც ზოგიერთი ნატოში გაწევრიანების თავგადაკლული მომხრეა, ზოგიერთი – რუსეთთან უმჭიდროესი თანამშრომლობისა, ხოლო სხვებს ამჟამინდელი რთული მდგომარეობიდან საქართველოს გამოყვანის ერთადერთ გზად მის მიერ მუდმივი ნეიტრალიტეტის გამოცხადება ესახება. ეს ყოველივე საზოგადოებაში გარკვეულ დაბნეულობას იწვევს.

ამიტომ წინამდებარე სტატიის მიზანია ამ საკითხების შეძლებისდაგვარად გარკვევა, რასაც ამოსავალ წერტილად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი – პრაგმატიზმისა და მიზანშეწონილობის პრინციპი უძევს.

ნეიტრალურ ქვეყნად საქართველოს გამოცხადების მიზანშეწონილობის საკმაოდ ჭარმაგი იდეა ჩვენს საზოგადოებაში კვლავ გამოცოცხლდა, რაც სხვადასხვა გარემოებითაა განპირობებული, მათ შორის, ახლო მომავალში საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობისადმი სკეპტიციზმის მნიშვნელოვანი ზრდითაც, რის მთავარ მიზეზად, როგორც წესი, ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნისთვის ამ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობის ძვირადღირებულობა და ამიტომ მისი ხელმიუწვდომლობა სახელდება. უნდა ითქვას, რომ სავსებით საფუძვლიანადაც, რადგან ნატოს წევრი ქვეყნები თავიანთი შეიარაღებული ძალების შენახვაზე, თუ ჩვენი მასშტაბებით ვიმსჯელებთ, მართლაც უზარმაზარ სახსრებს ხარჯავენ. ასე, მაგალითად, ტერიტორიული სიდიდით საქართველოზე კიდევ უფრო პატარა დანიასა (43 ათასი კმ^2) და ნიდერლანდს (41,2 ათასი კმ^2) 1998 წელს სამხედრო მიზნებისათვის, შესაბამისად, გამოყოფილი ჰქონდათ თითქმის 3 მილიარდი და 7 მილიარდამდე დოლარი, ანუ 1 სულ მოსახლეზე, ასევე შესაბამისად, დაახლოებით 528 და 440 დოლარი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საზომით უზარმაზარი სიდიდის ეს თანხები თავად დანიისა და ნიდერლანდისათვის არცთუ ისე უსაშველოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი ყოველწლიური საბიუჯეტო შემოსავალი ათეულობით მილიარდი დოლარის ექვივალენტერია. ასე, მაგალითად, 1997 წელს დაახლოებით 5-მილიონიანი მოსახლეობის დანიის საბიუჯეტო შემოსავალმა 59,7 მილიარდი დოლარის ექვივალენტი შეადგინა.

რაც შეეხება ნიდერლანდს, რომლის მოსახლეობაც ამჟამად 16 მილიონს აღწევს, მისმა საბიუჯეტო შემოსავალმა 1999 წელს 163 მილიარდი დოლარის ექვივალენტს მიაღწია.

ამ ციფრებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოვლენათა ორდინალურად განვითარების შემთხვევაში, ნატოში გაწევრიანებისათვის საქართველოს ეკონომიკურად იმ დონეზე მოღონიერებამდე მოუწევს ლოდინი, რომელიც მას სამხედრო ხარჯებისათვის ფრიად სოლიდური თანხების გაღების საშუალებას მისცემს, რაც მიმდინარე ათწლეულში, ალბათ, ნამდვილად არ გველის.

ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ, სამხედრო უსაფრთხოებაზე გაღებული ხარჯების თვალსაზრისით, ნეიტრალურ ქვეყნად არსებობა ნატოს წევრობის რამდენადმე სერიოზულ ალტერნატივას სრულებითაც არ წარმოადგენს, რასაც თუნდაც ასეთ ქვეყნად არსებობის თითქმის 200-წლიანი (1815 წლიდან) „სტაჟის" მქონე შვეიცარიის მაგალითიც ადასტურებს.

შუაგულ ევროპაში მდებარე და, დანია-ნიდერლანდის დარად, შედარებით მცირე ტერიტორიის (41,5 ათასი კმ^2) მქონე ეს სახელმწიფო, როგორც ცნობილია, გარშემორტყმულია მისდამი კეთილგანწყობილი ცივილიზებული სამყაროთი, რომლისგანაც არავითარი საფრთხე არ ელის. ამას გარდა, მისი, როგორც ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის მქონე სახელმწიფოს, უსაფრთხოება, რასაკვირველია, საერთაშორისო გარანტიებითაა დაცული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანიის მხრიდან ბელგიის ნეიტრალიტეტის ორგზის დარღვევის მწარე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, შვეიცარია მხოლოდ ამ გარემოებათა იმედად არ არის და კარგა ხანია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე კარგად შეიარაღებულ და საკმაოდ ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ გვევლინება. კერძოდ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე მას უკვე ჰქონდა 800 ტანკი, 1200-ზე მეტი ჯავშანტრანსპორტიორი, 100-ზე მეტი შვეულმფრენი, 340 საბრძოლო და 300-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავი და სხვა ტექნიკა, რომლის ნაკლებობას იგი არც ამჟამად განიცდის.

ასეთი დიდი სამხედრო პოტენციალის უზრუნველყოფა, ბუნებრივია, პატარა შვეიცარიას ყოველწლიურად ფრიად ძვირი უჯდება. ასე, მაგალითად: 1998 წელს სამხედრო მიზნებისთვის გამოყოფილი იყო მისი საბიუჯეტო შემოსავლების (34,66 მლრდ. დოლარი) თითქმის 9 პროცენტი – 3,1 მილიარდი დოლარი, ანუ, საშუალოდ, დაახლოებით 426 დოლარი 1 სულ მოსახლეზე, რაც ნატოს წევრი ქვეყნის – ნიდერლანდის შესაბამის მაჩვენებელს (440 დოლარი) მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა. ამასთან, ალბათ, ისიც იმიტომ, რომ ნიდერლანდისგან განსხვავებით, იგი საზღვაო სახელმწიფოს არ წარმოადგენს და, მაშასადამე, არც სამხედრო-საზღვაო ძალების შენახვის ხარჯები აწევს კისერზე. ასე რომ, ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის უზრუნველყოფა, პრაქტიკულად, დაახლოებით ისეთივე ძვირადღირებულია, როგორც ნატოს წევრობა. ამიტომ, თუ რაღაც განსაკუთრებული არ მოხდა, უახლოეს მომავალში ასეთი სტატუსის მოპოვება საქართველოსთვის მიუწვდომელია. მით უმეტეს, რომ მას, ჯერჯერობით, ნეიტრალურ ქვეყნად საერთაშორისო აღიარებისათვის აუცილებელი ისეთი უმნიშვნელოვანესი პირობაც არ გააჩნია, როგორიც ტერიტორიული მთლიანობაა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე და საკმაოდ ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე, საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად გამოცხადების მიმზიდველი იდეის ინტენსიური მუსირება ფუჭ საქმიანობას წარმოადგენს, რადგან იგი ჩვენს საზოგადოებაში მირაჟულ ხილვებს წარმოშობს მხოლოდ და მას იმ თხის მდგომარეობაში აყენებს, რომელიც ბოსტანს ხედავს, ღობეს კი – ვერა.

მაგრამ თუ თვალსაწიერ მერმისში საქართველოს საკუთარი შესაძლებლობებით არც ნატოში გაწევრიანება ძალუძს და არც ნეიტრალურ ქვეყნად არსებობა, მაშინ მართლაც მართებული ხომ არ იქნებოდა ყურად გვეღო მავანთა რჩევა, რომ კვლავაც „ჩავეხუტოთ" რუსეთს, რის სანაცვლოდაც, მათი თქმით, იგი თურმე აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებს.

ამის მყარი გარანტია, მართლა რომ არსებობდეს და მითითებული რჩევაც ხალასი იყოს, მაშინ მისი მიღება დიდი ცოდვა ნამდვილად არ იქნებოდა. მეტადრე, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთ მთავარ ტენდენციად სწორედ სხვადასხვა ქვეყნის ამა თუ იმ ფორმით გარკვეული გაერთიანებების შექმნა გვევლინება. სახელდობრ, ასეთია თუნდაც ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების გაერთიანება ევროკავშირად, რომელშიც შესვლას ახლა დანარჩენი ევროპის სხვა სახელმწიფოებიც, მათ შორის საქართველოც, ესწრაფვიან.

მაგრამ ხსენებული რჩევა გულუბრყვილო ან მზაკვრული რომ აღმოჩნდეს და მისი მიღების შედეგად ყულფში თავშეყოფილები აღმოვჩნდეთ, მაშინ რაღა ვქნათ?

ამიტომ, მოცემულ საკითხზე „ვუყვარვარ-არ ვუყვარვარ"-ის მეთოდის გამოყენებით პასუხის გაცემა, რასაკვირველია, მეტად სახიფათოა და იგი მხოლოდ გარკვეულ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს. კერძოდ, იმის გათვალისწინებას, თუ რამდენად სანდოა რუსეთი ჩვენი ქვეყნისათვის მასთან ურთიერთობების ისტორიული გამოცდილების, აწმყოთი და საქართველოსადმი მისი სამომავლო კონკრეტული ზრახვების მიხედვით. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთზე საუბრისას მხედველობაში გვყავს მისი ჩინოვნიკური ზედაფენა და არა რუსი ხალხი საერთოდ, რომელთანაც ქართველობას, როგორც წესი, ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა და აქვს კიდეც. განსაკუთრებით ეს ითქმის ჩვენი ქვეყნების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებზე, რომელთა შორისაც ტრადიციულად თბილი ურთიერთობები ამჟამად გრძელდება.

ვინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიას, ასე თუ ისე, იცნობს, ადვილად შეამჩნევს, რომ ჩინოვნიკური რუსეთის საქართველოსადმი, ქართველი ერისადმი დამოკიდებულება, ჩვეულებრივ, აგრესიული, მზაკვრულ-მუხანათური და ქედმაღლური იყო. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება, რომ საქართველოსთან დადებული არც ერთი ხელშეკრულება თუ მიცემული რაიმე მნიშვნელოვანი დაპირება რუსეთს არ შეუსრულებია, რითაც ჩვენი ქვეყანა ბევრჯერ მძიმე დღეში ჩააგდო. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტიდან საილუსტრაციოდ სრულიად საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც მის მიერ საქართველოს ორჯერ ოკუპირება, რომლებიც, შესაბამისად, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატისა და 1920 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების უტიფარი, ცინიკური დარღვევითა და ფეხქვეშ გათელვით მოხდა. ასე რომ, მარტოოდენ ეს ორი ფაქტიც სავსებით ნათელყოფს, რომ წარსულის მწარე გაკვეთილების მიხედვით რუსეთი საქართველოს მხრიდან ნდობას არ იმსახურებს.

სამწუხაროდ, მას არც პოსტსაბჭოთა პერიოდში გაუკეთებია რაიმე ისეთი სასიკეთო, რაც მისდამი ნდობას აღძრავდა, მაშინ როდესაც, სინამდვილეში, პირიქითაც კი არის – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მის მიერ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისადმი ჩადენილი ბოროტი როლის შესრულებით.

ამას გარდა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ მრავალგზის გამოვლენილ მსგავს იმპერიულ ქმედებებთან ერთად, ცარიზმისდროინდელი სახელმწიფო გერბის – ორთავიანი არწივისა და სსრ კავშირის ჰიმნის მელოდიის ოფიციალურად გათავისებით, ჩინოვნიკურმა რუსეთმა ძალზე მკვეთრად და მჭევრმეტყველურად დააფიქსირა ცარიზმის ანექსიონისტური, კოლონიური პოლიტიკისადმი ერთგულება – მემკვიდრეობითობა და თავისი ჰეგემონობით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კვლავაც ერთიან სახელმწიფოში – „მძლე კავშირში" მოქუჩებისადმი დაუოკებელი მისწრაფება, რომლის განხორციელებაც რუსეთის იმპერიის კიდევ ერთხელ აღორძინების პრელუდია იქნებოდა. ამას, სხვათა შორის, ადასტურებს რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ისტებლიშმენტში ფართოდ გავრცელებული დიდი ევრაზიული (რუსეთის) იმპერიის ჩამოყალიბების დოქტრინაც, რომელმაც საკმაოდ დასრულებული სახე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში რუსულ ემიგრანტულ წრეებში, კერძოდ, თავად ნ. ს. ტრუბეცკოისთან მიიღო.

ამავე მიზნის განხორციელების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად გვევლინება რუსი სტრატეგების მიერ „კავკასიის ახალ გეოპოლიტიკურ წესრიგად" წოდებული მათეული გეგმაც, რომელიც საქართველოსაც უშუალოდ ეხება და ერთობ მკაფიოდ გვიჩვენებს რუსი დერჟიმორდების სამომავლო შავბნელ ზრახვებს მის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ სათანადო რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ამ გეგმის არსი ფრიად ნათლად აქვს გადმოცემული ბ-ნ ლ. ლიონიძეს თავის ბრწყინვალე სტატიაში „რუსული პარტია კავკასიაში", რომელიც დაახლოებით ორი წლის წინათ გამოქვეყნდა და ამჟამადაც ძალზე აქტუალურია. მასში კი საქართველოსთან დაკავშირებით, კერძოდ, ვკითხულობთ: „მთელს ამ პარტიაში მართლმადიდებელი საქართველო განსაკუთრებული ფიგურაა, რადგან იგი სამხრეთიდან ჩეჩნეთს ესაზღვრება და იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად რუსეთის კონტროლს დაექვემდებარება, შედარებით უმტკივნეულოდ მოახდენს ვაინახური სეპარატიზმის ნეიტრალიზაციას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. საქართველოს უნდა მიებას, აგრეთვე, ინგუშეთი და დაღესტნის გარკვეული ნაწილი, რითაც შეიქმნება დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მქონე აღმოსავლეთ საქართველოს – ჩრდილოკავკასიური ეკონომიკური ზონა, რომელიც მთლიანად რუსეთის მიერ იქნება კონტროლირებადი და ევრაზიულად ორიენტირებული".

შალვა ფაჩულია,

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა



პირველი მსოფლიო ანტიტერორისტული ოპერაციის პირველი ფაზა

ფბბ: აშშ სასმელი წყლის მარაგი შეიძლება ტერორისტთა სამიზნე გახდეს

შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ქვეკომისიაში გამოქვეყნდა მოხსენება ტერორისტთა მიერ ამერიკის სასმელი წყლის მარაგის მოწამვლის პოტენციური საფრთხის შესახებ. ფედერალური გამოძიების ბიუროში მიაჩნიათ, რომ 5 მილიარდი დოლარის გამოყოფა ეროვნული უშიშროების დასაცავად ხელს შეუწყობდა მასობრივი მოწამვლების თავიდან აცილებას.

ფბბ მოხსენებამ დიდი ეჭვები და კამათი გამოიწვია სპეციალისტებში, რომლებიც შეერთებულ შტატებს სასმელი წყლით უზრუნველყოფენ.

თვით ფედერალური გამოძიების ბიუროს თანამშრომლებიც აღიარებენ, რომ ისინი არც აქამდე კარგავდნენ დროსა და ბეგარის გადამხდელთა ფულს უქმად, და მოასწრეს, შეემუშავებინათ და დაენერგათ ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის უზრუნველყოფის საკმაოდ დაცული სისტემა.

„ვინაიდან გაწმენდილი წყლის მიწოდების სისტემა თავისთავად ძალზე რთულია, მოწამვლის შესაძლებლობა, ჩვენი აზრით, ნაკლებად არის შესაძლებელი. სულ შეერთებულ შტატებში არის 168 ათასი წყლის საცავი, და იმისათვის, რომ მოწამლონ წყალი თუნდაც ერთ მათგანში, საჭირო გახდებოდა ერთი დიდი ქიმიკატებით დატვირთული საბარგო ავტომობილი. მაგრამ, ეს წყალიც, სულ ერთია, გაივლის გახსნა-ფილტრაციისა და დეზინფექციის სისტემას“, – ამტკიცებს რონალდ დიკი, ინფრასტრუქტურის დაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორი.

ანტიბიოტიკები საელჩოებისათვის

როგორც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი რიჩარდ ბაუჩერი იუწყება, შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ ამერიკის ყველა საელჩოს მისცა მითითება, მოიმარაგოს ციპროფლოქსაცინ ანტიბიოტიკი, თუ ვინიცობაა ტერორისტები მათ წინააღმდეგ ჯილეხს გამოიყენებენ ბიოლოგიურ იარაღად.

საელჩოებმა ანტიბიოტიკი უნდა შეიძინონ ისეთი რაოდენობით, სამ დღეს რომ ეყოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ყველა თანამშრომელს.

ბაუჩერის თქმით, დეპარტამენტი 1998 წლიდან გზავნის ზოგიერთ საელჩოში შხამსაწინააღმდეგო საშუალებებს ქიმიური და ბიოლოგიური მომწამვლელი ნივთიერებების მოქმედების გასანეიტრალებლად. ეს მუშაობა გააქტიურდა მას შემდეგ, რაც აშშ და ბრიტანეთი ავღანეთის დაბომბვას შეუდგნენ.

ამჟამად ფბბ ცდილობს, განსაზღვროს, ხომ არ არის ფლორიდაში ჯილეხით დაავადების შემთხვევები ტერორისტული აქციის შედეგი.

სადღაც გლოვობენ, სადღაც პროტესტს აცხადებენ

რომში პაპმა იოანე პავლე მეორემ ტერაქტების მსხვერპლთა მოსახსენიებელ საგანგებო ლოცვაში მოუწოდა მსოფლიოს, ბოლო მოუღოს „გაბოროტებას, შუღლსა და სიძულვილს“.

ლონდონში სამი ათასზე მეტი მეხანძრე დაესწრო წმინდა პავლეს ტაძარში თავისი ნიუ-იორკელი კოლეგების პანაშვიდს, რომლებიც დაიღუპნენ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობის ჩამონგრევისას.

ამავე დროს, 200-მდე კაცმა მოაწყო ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების საელჩოებთან ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში და მოითხოვა, შეწყდეს ავღანეთის დაბომბვა.

ანტიამერიკული დემონსტრაციები მიმდინარეობს აგრეთვე ინდონეზიასა და ირანში.

რას აპირებს პენტაგონი?

ანტიტერორისტული ოპერაციის პირველი ფაზა ამ კვირას მთავრდება, რის შემდეგაც საქმეში ჩაებმებიან სპეცდანიშნულების რაზმები.

ავღანეთის მასირებული დაბომბვა დასასრულს უახლოვდება. თალიბებსა და „ალ-ყაიდას“ ტერორისტებს არც ისე ბევრი ობიექტი ჰქონდათ, საჰაერო თავდასხმის სამიზნედ რომ გამომდგარიყო, ამიტომ, ახლანდელ დაბომბვებში მონაწილეობდა გაცილებით ნაკლები თვითმფრინავი, ვიდრე იუგოსლავიაში, და ისინი ხშირად ბრუნდებოდნენ ბაზებში დაუხარჯავი ბომბებისა და რაკეტების მარაგით.

პენტაგონი არ აცხადებს თავის შემდგომ გეგმებს. მით უმეტეს, რომ ჩამოყალიბებული გეგმები არ გააჩნია და ბევრი რამ იმპროვიზაციაზე იქნება დამოკიდებული. მაგრამ იქიდან, რასაც სამხედროები საიდუმლოდ უმხელენ ნაცნობ ჟურნალისტებს, იკვეთება შემდეგი სცენარი.

ჯარების გადასროლა

თუმცა პენტაგონი ამბობს, რომ არ გამორიცხავს არავითარ ვარიანტს, არავინ არ წინასწარმეტყველებს ფართომასშტაბოვან შეჭრას ავღანეთში. ამ შაბათ-კვირას შეერთებული შტატებიდან ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში იწყება დამატებითი ჯარების გადასროლა.

კერძოდ, ცენტრალურ აზიაში გაიგზავნება მე-10 სამთო დივიზიის კიდევ ათასი ჯარისკაცი, უზბეკეთში უკვე დისლოცირებული ბატალიონის დამატებით.

101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის ცალკეულ ქვედანაყოფებს და სპეცოპერაციების თითქმის მთელ 160-ე ავიაპოლკს, რომელიც კენტუკის შტატშია ბაზირებული, ებრძანა, მზად იყოს საზღვარს იქით გადასროლისათვის 16 ოქტომბრის დამდეგს.

161-ე პოლკს აქვს სადესანტო ოპერაციებისათვის განკუთვნილი სპეციალური შვეულმფრენები. ისინი ბაზირებული იქნებიან „კიტი ჰოკ“ ავიამზიდზე, რომელმაც იაპონიაში დატოვა თითქმის მთელი თავისი საგემბანო ავიაცია. ეს შვეულმფრენები ავღანეთში გადასხამენ სპეცდანიშნულების რაზმებს, რომლებსაც დაეკისრებათ მომავალი ანტითალიბური ოპერაციების ლომის წილი.

ამერიკელები ბალკანეთს ტოვებენ

ამერიკის ქვეგანაყოფების ნაწილს რეგიონში გადმოისვრიან ბოსნიიდან და კოსოვოდან, სადაც მათ შეცვლიან ნატოს სხვა ქვეყნების ამავე რაოდენობის სამხედრო მოსამსახურენი.

ბალკანეთიდან ჯარების გადმოსროლას ვაშინგტონისათვის მთელი რიგი უპირატესობანი აქვს.

ჯერ ერთი, იქ მყოფმა ჯარისკაცებმა უკვე გაიარეს სათანადო მომზადება საზღვარგარეთ სამსახურისათვის, აიცრეს, გააფორმეს ანდერძები და მათი გადაყვანა დაუყოვნებლივ შეიძლება. მეორეც, ბუშის ადმინისტრაციას, რომელსაც არასდროს არ გამოუთქვამს დიდი სიხარული იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის ჯარები ბალკანეთში მსახურობენ, შეუძლია, ამ საბაბით შეამციროს აშშ ყოფნა ბალკანეთში.

თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა მაისში თქვა, რომ მისი აზრით, „სამხედროებმა ჯერ კიდევ 3-4 წლის წინათ შეასრულეს თავიანთი ამოცანა ბალკანეთში“, და ახლა, სათქმელი აქვს, თუ რატომ გამოჰყავთ იქიდან ამერიკელი ჯარისკაცების ნაწილი.

განზრახვათა დემონსტრაცია

ქვეითთა ქვეგანაყოფები საჭიროა არა ავღანეთში შეჭრისათვის, რაც ჯერჯერობით არ იგეგმება: ისინი შეიძლება, დასჭირდეთ უზბეკეთის დასაცავად და თავიანთი სპეცდანიშნულების რაზმის დასახმარებლად, თუ კი მას გაუჭირდა.

გარდა ამისა, ჯარების გადასროლა, რომელიც რამდენიმე დღეში დაიწყება, მიზნად ისახავს, უჩვენოს აშშ მოკავშირეებს რეგიონში, რომ ვაშინგტონს განზრახული აქვს, აქ დიდხანს დარჩეს, და ბოლომდე მიიყვანოს საქმე.

ზოგიერთი მათგანი შიშობს, რომ ამერიკელებს დიდხანს არ ეყოფათ მოთმინება, და ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში რამსფელდის ამასწინანდელი მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი იყო მათი დამშვიდება.

ბენ ლადენის მოკვლა ხელსაყრელი არ არის?

მეორე მხრივ, ვაშინგტონი შიშობს, რომ უსამა ბენ ლადენის შეპყრობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში ბევრი სახელმწიფო გამოაცხადებს, საქმე დამთავრებულიაო, და, მოითხოვს, რომ ამერიკელებმა დაასრულონ ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც თეთრი სახლის თვალსაზრისით, მხოლოდ ახლა იწყება.

ამასთან დაკავშირებით, ადმინისტრაცია, ჯერ ერთი, სულ უფრო ნაკლებად ახსენებს ბენ ლადენს, და ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე უსამა ან მისი „ალ-ყაიდა“, და, მეორე, მოდის ცნობები, რომ საჰაერო თავდასხმების დროს პენტაგონი სულაც არ აპირებს, რაც შეიძლება მალე მოკლას ბენ ლადენი. რა თქმა უნდა, წამოსცდა გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსის“ ერთ-ერთ წყაროს, ბენ ლადენი უეცრად რომ დაინახონ ღია ადგილას, მას მაშინვე მოუთავებენ ხელს...

რით არის შეიარაღებული ამერიკა?

ამერიკის შეერთებულ შტატებს და მის მოკავშირეებს, რომლებმაც დაიწყეს საომარი კამპანია უსამა ბენ ლადენისა და მისი ავღანელი მომხრეების წინააღმდეგ, – ომის წარმოების საშუალებათა უზარმაზარი არჩევანი აქვთ. ესენია:

- ☞ **შორი ბომბდამშენები;**
- ☞ **უხილავი თვითმფრინავები;**
- ☞ **ავიამზიდები;**
- ☞ **სადაზვერვო საშუალებანი;**
- ☞ **ფრთოსანი რაკეტები;**
- ☞ **მოიერიშე თვითმფრინავები;**
- ☞ **ადგილსამყოფლის გლობალური განსაზღვრის სისტემა (GPS);**
- ☞ **კმაგანწყობის თვითმფრინავები;**
- ☞ **მართვადი იარაღი;**
- ☞ **უმართავი ბომბები;**
- ☞ **კასეტური ბომბები;**
- ☞ **მცირე ურანის იარაღი;**
- ☞ **შვეულმფრენები და სატრანსპორტო თვითმფრინავები;**
- ☞ **სპეციალური დანიშნულების ძალები.**

საჰაერო მართვა და დაზვერვა

საომარი ოპერაციების ზონაში ჰაერიდან მართვას ახორციელებენ **AWACS** სპეციალური თვითმფრინავები, რომლებსაც დაყენებული აქვთ დიდი ზომის დისკოსებრი ანტენები.

E-3 Sentry სამგზავრო ავიალაინერის ოდენა რეაქტიული თვითმფრინავი, რომელიც მოდიფიცირებულ „ბოინგ-707“-ს წარმოადგენს და განკუთვნილია საყოველამინდო დაზვერვისათვის, აგრეთვე, ჰაერში ოპერაციების მართვისათვის, ფართოდ გამოიყენებოდა სპარსეთის ყურისა და ბოსნიის ომის დროს. ამ კომბინირებულ საკომანდო ცენტრ-რადარულ სადგურს ჰყავს ოთხკაციანი საფრენოსნო ეკიპაჟი, აგრეთვე 13-დან 19-მდე ოპერატორი სპეციალისტი. მისი ფრენის ხანგრძლივობა, დამატებითი საწვავის ჩაუსხმელად რვა საათს აღემატება.

ავიამზიდებზე ბაზირებული ამ თვითმფრინავის მომცრო ვარიანტია **E-2c Hawkeye** – ორძრავიანი ტურბოხრახნიანი თვითმფრინავი. თითოეულ ავიამზიდზე არის ოთხი ასეთი თვითმფრინავი, რომლებიც განკუთვნილია ფლოტის განლაგების თავზე ოპერაციების კოორდინაციისათვის.

„ბოინგ-707“-ის მეორე ვარიანტი, **E-8 C Istars**-ი, აღჭურვილია რადარის მოგრძო გუმბათით, რომელიც თვითმფრინავის ცხვირის ნაწილის თავზე მდებარეობს. იგი განკუთვნილია სახმელეთო მიზნების აღმოსაჩენად, საცნობად და სათვალთვალოდ ამინდის ნებისმიერ პირობებში.

კიდევ ერთი ვარიანტია **RC-135 V/W Rivet Ioint**-ი, სადაზვერვო თვითმფრინავი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის დროს და ბოსნიის ცაში ვიზუალური გამოსახულებებისა და ელექტრონული სიგნალების მისაღებად.

მზვერავი თვითმფრინავი U-2 შეიარაღებაზე დარჩა ცივი ომის დროიდან, მაგრამ ჯერ კიდევ გამოიყენება დიდი სიმაღლიდან დაზვერვისათვის დღისით ან ღამით, ამინდის ნებისმიერ პირობებში.

ამ თვითმფრინავის ერთადერთი პილოტი იძულებულია, ჩაიცვას სამაღლივო სკაფანდრი, ვინაიდან ფრენა ძალზე დიდ სიმაღლეზე მიმდინარეობს. თვითმფრინავი აღჭურვილია მთელი რიგი ხელსაწყოებით ინფორმაციის შესაგროვებლად, მათ შორის ფოტოაპარატებითა და ამსახველი რადარებით.

შეიარაღებული ძალები სულ უფრო მეტად იყენებენ მცირე უპილოტო თვითმფრინავებს, რომლებსაც **UAV**-ს უწოდებენ. ისინი ემსახურება ბაზაში სამიზნის განლაგების რაიონის ვიდეო ან ფოტოგამოსახულებების გადაცემას.

როგორც წესი, ისინი დაფრინავენ ძალზე მცირე სიჩქარით – დაახლოებით 220 კმ/სთ-ით. მაგრამ შეუძლიათ, ჰაერში, სამიზნის თავზე იმყოფებოდნენ მრავალი საათის განმავლობაში.

მცირე სიჩქარის გამო უპილოტო თვითმფრინავები იოლი სამიზნეა: ერთი ასეთი ამერიკული თვითმფრინავი, როგორც ვარაუდობენ, **RQ-1 Predator**-ი, უფრო ზუსტად, მისი ადრეული ვარიანტი, რომელსაც **Gnat-xp**, სპეციალური დანიშნულების ძალები იყენებდნენ, ავღანეთის ცაში დაიკარგა 22 სექტემბერს. კიდევ ერთი ერაყელებმა ჩამოაგდეს 2001 წლის ზაფხულში.

კოსოვოს ოპერაციის დროს, რომელიც 78 დღეს გრძელდებოდა, ნატოს ალიანსმა დაკარგა სხვადასხვა ტიპის 20-ზე მეტი უპილოტო თვითმფრინავი.

ფრთოსანი რაკეტები

ეს რთული კონსტრუქციის მფრინავი ბომბები, ჩვეულებრივ, იწყებენ ამერიკელთა ნებისმიერ დარტყმას სამიზნეზე.

ჰაერიდან მართული ჩვეულებრივი ტიპის ფრთოსანი რაკეტა **Boeing Agm-86** აღჭურვილია ტუმბოვენტილატორული რეაქტიული ძრავით, რომელიც უზრუნველყოფს რაკეტის ფრენის ბგერამდელ სიჩქარეს – დაახლოებით 880 კმ/სთ.

აშშ და ბრიტანეთის საზღვაო-სამხედრო ფლოტები იყენებენ ანალოგიურ, მაგრამ, რამდენადმე უფრო მომცრო ფრთოსან რაკეტას **Raytheon Bgm2109 Tomahawk**-ს, მას უშვებენ ხომალდებიდან ან წყალქვეშა ნავებიდან და შედარებით ნაკლები სიჩქარე აქვს.

ტერმინი „ჩვეულებრივი ტიპის რაკეტა“ გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ იგი აღჭურვილია არა ბირთვული ქობინით, არამედ ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერების საბრძოლო მუხტით.

B-52 ბომბდამშენიდან ფრთოსანი რაკეტის ჩამოგდებისთანავე ან ზღვაში ხომალდიდან გაშვებისთანავე მისი ფრთები, კუდის სტაბილიზატორი და ჰაერსაღები იხსნება და რაკეტის კორპუსიდან გამოდის.

რაკეტას შეუძლია იფრინოს დაახლოებით 1100 კმ/სთ სიჩქარით, რისთვისაც იყენებს ნავიგაციის ავტონომიურ ინერციულ სისტემას და ადგილსამყოფლის გლობალური განსაზღვრის სისტემას გათვალისწინებული კურსით ფრენისათვის.

რაკეტის სიგრძე 7 მეტრზე ნაკლებია და მას შეუძლია ასრულებდეს ზიგზაგისებრ ფრენას, რაც აძნელებს მის აღმოჩენას მოწინააღმდეგის რადარების მიერ.

GPS

GPS სისტემა ემსახურება ზუსტი სანავიგაციო ინფორმაციის გადაცემას გემების, მთამსვლელებისა და თვით ავტომობილის მძღოლებისათვის. სავაჭრო ქსელში არის ამ სისტემის საყოფაცხოვრებო ვერსია.

სისტემის სამხედრო ვარიანტის მეხსიერებაში შეჰყავთ პროგრამა, სადაც აღინიშნება დასახული მიზნის ადგილმდებარეობა. მისი გამოყენებით იარაღი თვითონ ემიზნება ობიექტს, თანამგზავრიდან ინფორმაციის გამუდმებული მიღების წყალობით.

ადგილმდებარეობის გლობალური მითითების სისტემით აღჭურვილ ფრთოსან რაკეტებს აქვთ დიდი სიზუსტე, თუმცა სპარსეთის ყურის ომის დროს ეს სიზუსტე არც მთლად ისეთი აღმოჩნდა, როგორც ვარაუდობდნენ.

მოიერიშე თვითმფრინავები

უხილავი ბომბდამშენებისა და შორი მოქმედების ბომბდამშენების გარდა, ამერიკელებს აქვთ, აგრეთვე, მთელი რიგი ერთადგილიანი და ორადგილიანი რეაქტიული მოიერიშე თვითმფრინავები.

F-ISEStrike Eagle წარმოადგენს ორადგილიან მოიერიშეს – ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი ავიაგამანადგურებლის ვარიანტს.

მისი სიჩქარე ზღვის დონეზე შეიძლება 2,5 ბგერის სიჩქარეს აღწევდეს.

F-15 Es განკუთვნილია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შესაჭრელად და დარტყმების მისაყენებლად დაბალ სიმაღლეზე და მაღალი სიჩქარით.

სპარსეთის ყურის ომის დროს ეს თვითმფრინავები უმთავრესად ღამით გამოიყენებოდა **სქად** რაკეტების გასაშვებ დანადგარებსა და საარტილერიო პოზიციებზე იერიშებისათვის.

F-16 Fithing Falcon ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი არის ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი თვითმფრინავი, რომელსაც ამზადებს ნატოს ოთხი სხვა ქვეყნის კონსორციუმი.

იგი **F-15**-ზე პატარაა და უფრო ნაკლები სიჩქარე აქვს, სამაგიეროდ, გამოირჩევა საუკეთესო მანევრულობით და შესრულებული აქვს უფრო მეტი საბრძოლო გაფრენა, ვიდრე სხვა ტიპის თვითმფრინავებს სპარსეთის ყურის ომის დროს.

F/A 18 Hornet-ი აშშ საგემბანო ავიაციის მთავარი მოიერიშე თვითმფრინავია.

იგი თავიდანვე დააკონსტრუირეს, როგორც მრავალმიზნობრივი თვითმფრინავი და გამოიყენება როგორც გამანადგურებლად, ისე სახმელეთო სამიზნეებზე იერიშების მისატანად, აგრეთვე დაზვერვისათვის.

არის ამ თვითმფრინავის ერთადგილიანი და ორადგილიანი ვერსიები.

A-10 Thunderbolt-ს „ტანკების გამანადგურებელს“ (მას კიდევ **Warthog**-ს უწოდებენ), აქვს დამახასიათებელი ნიშანი ორი დიდი ტურბოვენტილატორული ძრავა, რომლებიც ფიუზელაჟზეა დაყენებული.

„ტანკების გამანადგურებელს“ შეუძლია ატაროს სხვადასხვაგვარი ბომბები და რაკეტები. თვითმფრინავის ცხვირის ნაწილში დაყენებულია **Gatling** ტიპის მძლავრი 30 მმ-იანი ზარბაზანი, რომლის სროლის სიჩქარე წუთში 3900 გასროლას შეადგენს.

თვითმფრინავის სიჩქარე არ არის დიდი – 640 კმ/სთ, მაგრამ იგი დიდი მანევრულობით გამოირჩევა. მანქანა განკუთვნილია სახმელეთო ჯარების მხარდაჭერისათვის.

(გაგრძელება იქნება)



AWACS-ი უზრუნველყოფს ჰაერიდან მხარდაჭერას.



E-2c Hawkeye-ს შეუძლია ავიამზიდებიდან აფრინდეს.



RQ-1 Predator-ი უპილოტოდ დაფრინავს.



ტომაჰავკი თვითონ ემიზნება ობიექტს.



F-15 Fs საშუალო სიშორის ოპერაციებში გამოიყენება.

ბუში: ყველაფერი გამარჯვებისათვის!

აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პენტაგონში 11 სექტემბრის ტერაქტების მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე გამოსვლისას, ამერიკის შეერთებულ ძალებს შეუზღუდველი რესურსები აღუთქვა მათს ბრძოლაში ტერორიზმის წინააღმდეგ.

ბუშის თქმით, ამერიკამ „დაიწყო ბრძოლა, რომელიც გაურკვეველი ხნის მანძილზე გასტანს“, მაგრამ, მისი შედეგი არავითარ ეჭვს არ იწვევს.

შეხვედრას ესწრებოდა ასობით სტუმარი. ეს იყო აშშ პრეზიდენტის პირველი ვიზიტი თავდაცვის სამინისტროს შენობაში მას შემდეგ, რაც დაიწყო ავიათავდასხმები ავღანეთზე.

ჯორჯ ბუშმა თქვა, რომ ტერორისტებმა, რომლებმაც თვითმფრინავი ააფეთქეს პენტაგონში, ამით „დარტყმა მიაყენეს ამერიკის ძლიერების სიმბოლოს“.

მოთარეშეთა მიერ გატაცებული ერთ-ერთი თვითმფრინავი შეასკდა აშშ თავდაცვის სამინისტროს შენობას 11 სექტემბერს, იმ დღეს, როდესაც შესრულდა 60 წელიწადი პენტაგონის მშენებლობის დაწყების მომენტიდან.

ამ აქციის შედეგად დაიღუპა 189 კაცი – 125 სამინისტროს თანამშრომელი და 64 – თვითმფრინავის მგზავრი და ეკიპაჟის წევრი.

მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნანგრევებზე დილის 8 საათსა და 48 წუთზე – იმ დროს, როდესაც პირველი თვითმფრინავი შეასკდა ცენტრის ორ ცათამბჯენთაგან ერთ-ერთს, – მუშებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

SEPTEMBER 11, 2001

ნიუ-იორკის მერმა რუდოლფ ჯულიანიმ ცენტრის ნანგრევებთან შეკრებილთა წინაშე გამოსვლისას თქვა: „ჩვენ გვახსოვს ყველა, ვინც დავკარგეთ, ჩვენ მუდამ გვეხსომება ისინი და მათს ხსოვნას მივუძღვნით ნიუ-იორკის აღდგენას“.

მცირე ურანი ავღანეთში?

საჰაერო დარტყმები ავღანეთზე ხორციელდება ისეთივე სქემით, როგორც წინათ – იუგოსლავიისა და ერაყის დაბომბვა. ბომბებს სამიზნეებს უშვებენ დიდი მანძილიდან და ისინი განკუთვნილია სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად, რათა გზა გაუხსნან სახმელეთო ძალებს.

მაგრამ დარტყმების სიზუსტე, ისევე როგორც ნატოსა და შეერთებული შტატების წინანდელი კამპანიების დროს, იწვევს არა მარტო ავღანელებისა და მათი თანამგრძნობი ხალხის, არამედ, აგრეთვე ბევრი სხვა ადამიანის შეშფოთებასაც დასავლეთში.

არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი ბომბი და ფრთოსანი რაკეტა მცირე ურანით იყოს დაჩურთული.

ეს სუბსტანცია რადიაქტიული და შხამიანია. აფეთქებისას ყუმბარები დარტყმის ადგილებში ტოვებენ მტერის – ურანის ჟანგის სქელ ფენას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, რომლებიც მან იუგოსლავიასა და ერაყში შეაგროვა, ასეთი ჭურვების შიგთავსი ვრცელდება შორ მანძილებზე, იგი მტვრად იქცევა და ხვდება ადამიანის ფილტვებში, საჭმელსა და წყალში.

ურანის მუხტების გარდა, ბომბებში გამოიყენება, აგრეთვე, ნიტრატები და მძიმე ლითონები. ასეთი ყუმბარები დამატებით პრობლემას წარმოშობენ, ვინაიდან დედამიწაზე დაცემისას ისინი არ ფეთქდება, მიწაში რჩება და წამლავს ნიადაგს.

მართლქომაგთა ჯგუფები კატეგორიულად მოითხოვენ, აიკრძალოს ასეთი ჭურვები.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲠᲣᲑᲘᲜᲘ

ვინ იყო ლავრენტი ბერია?

ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔ

ЛАВРЕНТИЙ
БЕРИЯ
МИФ И РЕАЛЬНОСТЬ
Н. РУБИН

პლენუმის შესახებ ცნობასთან ერთად გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა კიდევ ორი მნიშვნელოვანი მასალა – დიდი სარედაქციო სტატია და დაწერილებითი ანგარიში მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელების გაერთიანებული კრების შესახებ, რომელიც წინა დღეს, 9 ივლისს გაიმართა. ამ მასალებიდან, ჩვეულებრივი ლაქლაქის გარდა („იმპერიალისტების ყველა ცდა, ძირი გამოუთხარონ პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას, განწირულია ჩასაფუშავად“, „მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ძალები საბჭოთა კავშირის მეთაურობით არ დაუშვებენ“... და ა. შ.), ძნელი იყო, მიგეღო რამე დამატებითი ცნობები. ნათელი იყო მხოლოდ ერთი: ხალხის ვერაგი და კარგად შენიღბული მტერი – ბერია გაუვნებლებულია და ახლა მას ელის სამართლიანი შურისგება.

მართალია, განსაკუთრებით ყურადღებიან და კირკიტა მკითხველებს შეეძლოთ აღმოეჩინათ (და როგორც ჩანს, აღმოაჩინეს კიდევაც) ამ მასალებში რაღაც უჩვეულო. მათში პრაქტიკულად არ მოიხსენიებდნენ სტალინის სახელს – ყველა დროისა და ხალხის ბელადს, სულ ოთხი თვის წინათ რომ გარდაიცვალა! სამაგიეროდ, გაჩნდა რაღაც უჩვეულო ტერმინი – „პიროვნების კულტი“. ეს კულტი, განმარტავდა „პრავდა“, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება „კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს“. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი ზიზღით [illegible] პიროვნების კულტს და ყოველნაირად იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. ეს სტალინის ავტორიტეტის აშკარა ძირის გამოთხრა იყო, თუმცა, ალბათ, იმ მომენტში თვით ყველაზე გამჭრიახი მკითხველებიც კი შეშინებულნი იმორებდნენ ამ კრამოლურ აზრს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, შევახსენოთ: პირველად პიროვნების კულტის წინააღმდეგ თქვა ბერიამ, და მაშინ, 53 წლის გაზაფხულზე, ამან „თანამებრძოლების“ მტკიცე პროტესტი გამოიწვია. ახლა კი მათ მარჯვედ გამოიყენეს დამხობილი (ან მათგან მოკლული) „ხალხის მტრის“ ეს ინიციატივა და ის თავისად მიიწერეს. მალე კი მათ ასეთივე ჭეშმარიტად ყალთაბანდური ოპერაცია გამოიყენეს იუგოსლავიის საკითხებშიც: „ტიტოსა და რაიკოვიჩის მოღალატე ხროვა“ – ისევ კრემლის მეგობრად გადაიქცა.

რასაკვირველია, საბჭოთა მოსახლეობის დიდი უმეტესობა გაოცებული იყო ასეთი სიახლეებით, თუმცა მომდევნო დღეებში გაზეთები, როგორც მიღებულია მსგავს სიტუაციებში, სავსე იყო პარტიისა და მთავრობის ბოლო გადაწყვეტილებებისადმი სოლიდარობის მასობრივი გამოხატვის ცნობებით. კოლექტიურ და ინდივიდუალურ წერილებში მშრომელები ერთსულოვნად გმობდნენ ვერაგ მოღალატეს, რომელმაც შეძლო გამძვრალიყო ხელმძღვანელობის მწვერვალებისაკენ და მთელი თხუთმეტი წელი შენიღბულიყო როგორც „ჩვენი კაცი“! წერილთა ნაწილს აქვეყნებდნენ გაზეთები (პირველ რიგში, რა თქმა უნდა, „პრავდა“, მაგრამ სხვებიც, მაგალითად, „ლიტერატურკა“), ხოლო ნაწილს კურატორები ორგანოებიდან არჩევდნენ თავიანთი არქივებისათვის. არადა არა, უთანხმოების გამოხატვაზე, რასაკვირველია, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, 53 წელს ასეთ რამეზე მხოლოდ თვითმკვლელები შეიძლება წასულიყვნენ. უბრალოდ ზოგჯერ წერილთა ავტორები თავს ნებას აძლევდნენ, გამოეჩინათ ინიციატივა, რაც შეიძლებოდა მხოლოდ ზემოდან წამოსულიყო და არავითარ შემთხვევაში რიგითი მოქალაქეებიდან.

მაინც რა ინიციატივა იყო ეს? აი, მაგალითად, ვ. ილიუშენკო ქალაქ ბორისოვოდან, როგორც ჩანს, აღფრთოვანებული „კოლექტიური ხელმძღვანელობის“ თეზისით, წერდა: „ჩემი აზრით, მომწიფდა აუცილებლობა, გავაუქმოთ ერთმმართველობის პრინციპი და კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხებში მივყვეთ იმ მითითებებს, რასაც გვკარნახობს მარქსიზმ-ლენინიზმი. ერთმმართველობა ამართლებდა გერმანელ ფაშისტთა არმიებთან ბრძოლების პერიოდში. იქ მხოლოდ მეთაურს ჰქონდა უფლება მიეღო ბრძოლაში ჩაბმის გადაწყვეტილება. მაგრამ მშვიდობიან დროს, როცა მთელ პირად შემადგენლობას ვზრდით პატრიოტიზმის სულისკვეთებით, როცა ადამიანებს ვამზადებთ სამშობლოსათვის საბრძოლველად და სალაშქროდ, ერთმმართველობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს...“ როგორმე უშენოდაც გავერკვევით, ამხანაგო ილიუშენკო, რას უნდა ჰქონდეს ადგილი და რას არა!

ვიღაც ი. სემიონოვი კი თბილისიდან სულ წავიდა თავს. ნაღდად გაბრუებული „დათბობის“ მათრობელა ატმოსფეროთი, ის „პრავდაში“ წერდა: „ბერიას საქმიდან უნდა მივიღოთ პოლიტიკური გაკვეთილები და გავაკეთოთ აუცილებელი დასკვნები. ჩვენ მთავრობას არ უნდა სჯეროდეს მხოლოდ მოხსენებითი ბარათებისა და ოქმებისა. ეს მასალები უნდა შემოწმდეს, საჭიროა ადგილებზე მოსკოვიდან გავაგზავნოთ ხალხი ორი-სამი დღით და მოუსმინონ მუშებს, გლეხებს და გააკეთონ დასკვნები, სწორია თუ არა ის ოქმები და მოხსენებითი ბარათები, რომელსაც მოსკოვში, ჩვენს მთავრობას უგზავნიან. მხოლოდ ასეთ პირობებში ჩვენ შევძლებთ ნორმალური მუშაობის მიღწევასა და ხელმძღვანელობას ადგილებზე“. აბა, რა შენი საქმეა, ტუტუცო, გონს მოეგე!

სრულიად დაუშვებელი კირკიტი მოინდომა ა. სკიდანოვმა ხაბაროვსკის მხრიდან: „პარტიამ მასწავლა ვითარებაში ორიენტირება, – წერდა ის, – მე მესმის მისი პოლიტიკა და ცხოვრებაშიც ვახორციელებ. მაგრამ ბერიას მოღალატურ მოღვაწეობაში ვერ გავერკვეულვარ. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ პარტიისა და ხალხის წყეულ მტერს ხანგრძლივი დროის მანძილზე სჭეროდა ასეთი მაღალი სახელმწიფო და პარტიული პოსტი?.. სასურველია, რომ მთელი სასამართლო პროცესი დაწერილებით გამოქვეყნდეს პრესაში“. ძნელი არ არის, ამ წერილში შეამჩნიო ამხანაგ სკიდანოვის მორიდებული ეჭვი „პარტიისა და ხალხის წყეული მტრის მოღალატური მოღვაწეობის ფაქტში“.

თუმცა, „არატიპური“ წერილების უმრავლესობაში გვთავაზობდნენ ვერაგ მოღალატეზე შურისგების მხოლოდ ფორმებს. მაგალითად, ვ. მენშიკოვი ომსკის ოლქიდან მორიდებით სთხოვდა უმაღლეს სასამართლოს ბერიას სახალხოდ ჩამოხრჩობას. აბა რა? ნორმალური ზომაა! დიდი სამამულო ომის ბოლოს და მის შემდგომ პირველ თვეებში ყველგან ასე უსწორდებოდნენ ფაშისტ სამხედრო დამნაშავეებსა და მათ ხელისშემწყობებს (ზოგჯერ ყოველგვარი სასამართლოს გარეშეც კი). ბერია კი რით იყო მათზე უკეთესი?

უფრო მეტი გამომგონებლობა გამოიჩინა მოქალაქე ქალბატონმა მ. ნუდკომ კუსტანაიდან. ის წერდა: „ბერია ფიზიკურად არ უნდა განადგურდეს. მისთვის სიკვდილი საუკეთესო ჯილდოა, რის ღირსიც ის არაა. მას, რაც შეიძლება, დიდხანს უნდა შეუნარჩუნდეს დანაშაულებრივი სიცოცხლე. იგი ადამიანი არაა, ის მხეცია. ამიტომაც ის გალიაში უნდა ჩავსვათ, როგორც ტურა, და ვატაროთ ქალაქებში, კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, ქარხნებში, მაღაროებში და კოლმეურნეობებში, ვაჩვენოთ მშრომელებს მისი გამხეცებული ფიზიონომია“. ამ „რაციონალურ წინადადებაშიც“ არაფერია უჩვეულო, ზოგიერთი მემუარისტი გვაგრძნობინებს, რომ სწორედ ასე აპირებდა სტალინი ჰიტლერისადმი მოქცევას, თუკი ის ტყვედ ჩაუვარდებოდა.

სხვათა შორის, მთელ ამ ორომტრიალს, ბერიას „მხილებასთან“ დაკავშირებით რომ ატყდა, სრულიად კანონსაწინააღმდეგო ხასიათი ჰქონდა. ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ბერია ხომ ცოცხალი იყო და მისი საქმე განსახილველად უმაღლეს სასამართლოს გადაეცა. მაშასადამე, მხოლოდ ამ სასამართლოს და არავის, მის გარდა (ან და მის მაგიერ), შეეძლო ბერიას ბედის გადაწყვეტა. მხოლოდ კანონიერად გამოტანილ განაჩენს! მაგრამ რა გამოძიებასა და სასამართლოზე შეიძლება ლაპარაკი, თუკი უკვე გამოქვეყნდა პარტიულ-სამთავრობო „თავკაცების“ აზრი? ბერია ვერაგი მტერია, მოღალატეა, იმპერიალისტების დამქაშია! სხვა რა, თუ არა დახვრეტა, ელოდა მას? ალბათ, სამუდამო მოგზაურობა გალიით კომუნიზმის დიად მშენებლობებზე... თანდათან რომ დაიწყეს ძირის გამოთხრა სტალინის იმპერიის უკანონობისათვის, ახალი მმართველები თავად სჩადიოდნენ აღმაშფოთებელ და თავხედურ უკანონობას!

მოსკოველები, მარადიული (თუ მივიჩნევთ, რომ მარადიულობა დაიწყო 1917 წლის ნოემბერში) ბედის რჩეულნი, ამ სიტუაციაშიც აღმოჩნდნენ, როგორც ამბობენ, პრივილეგირებულ მდგომარეობაში. ამბები დედაქალაქში მყისვე ვრცელდება და უკვე 26 ივნისის საღამოსათვის ქალაქში გავრცელდა სხვადასხვანაირი ხმები. ბევრმა სროლის ხმა გაიგონა აჯანყების მოედნის რაიონში, ხოლო მოსკოვის ცენტრში გამოჩენილ ტანკებსა და ჯავშან-ტრანსპორტიორებს მხოლოდ ბრმა ვერ შეამჩნევდა. რაღაცეები მომდევნო საღამოსათვის გაირკვა, როცა უკვე ხსენებულ „დეკაბრისტების“ პრემიერას დიდი თეატრის სამთავრობო ლოჟაში პარტიისა და სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელი ესწრებოდა, ბერიას გარდა. ეს იყო დამაჯერებელი (თუნდაც ირიბი) დასტური ქალაქში მოარული ხმებისა, მაგრამ ხელისუფალთ კიდევ ორი კვირა გააჭიანურეს ბერიას დაპატიმრებაზე ოფიციალური ცნობის გამოქვეყნება.

სხვათა შორის, მაინც რატომ დასჭირდა ამას ნახევარი თვე? ვთქვათ, ორი-სამი დღე (ანდა ხუთიც) კიდევ გასაგები იქნებოდა: უნდა გამოეძებნათ რაღაც გამართული „რკინა-ბეტონებისებური“ ვერსია; რათა არავის აზრადაც კი არ მოსვლოდა, რომ იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლა ან და, ღმერთმა დაგვიფაროს! – სახელმწიფო გადატრიალება. მაგრამ ნახევარი თვე რატომ? ეს უნებურად გაეჭვებთ, რომ ამ შემთხვევაში მოხდა რაღაც ექსტრაორდინარული, რასაც განსაკუთრებული „გაფორმება“ სჭირდებოდა – ესეც თქვენი სანუკვარი ორი კვირა! თუ იქიდან გამოვალთ, რომ 26 ივნისს ბერია მოკლეს, – რა ვითარებაშიც უნდა მომხდარიყო ეს – მოწმეები, რასაკვირველია, ცოტანი როდი დარჩებოდნენ, ისევე როგორც „ანტიმოწმეებიც“, ანუ პარტიისა და სახელმწიფოს ის ხელმძღვანელები, გენერლები და პოლკოვნიკები, სხვა პირები, რომლებსაც მალე მოუწიათ ბერიას „მხილების“ მითის მონაწილეებად გახდომა. თუკი ყოველმა მათგანმა მშვენიერად იცოდა, არაფერი ამისთანა რომ **არ ყოფილა**, მაშინ, უეჭველად, აუცილებელი იყო თითოეულის საგულდაგულოდ „ინსტრუქტირება“ (უფრო სწორი იქნებოდა, ალბათ, თუ ვიტყოდით – ერთმანეთის), რათა ლეგენდა ყოფილიყო მტკიცე. საიმედო და არავინ არ დაეეჭვებინა. აქ, ალბათ, ორი კვირაც საკმარისი არ უნდა ყოფილიყო.

თარგმნა
ᲕᲐᲚᲘᲙᲝ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ.
(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ).

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲠ“ №135-152, 198-199, 201-207, 209-214, 216, 219, 221-228, 231-237, 243-244, 247, 249, 251.

ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ

მეგობრობითა და სიყვარულით არასოდეს იღლებიან

ამ ბოლო წლებში, როგორც ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობებს ჩაეყარა საფუძველი. ეს პროცესი თვალნათლივ აისახა ამ ორი ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაში. შარშან და წლეულს თურქი ძალოვნების დელეგაციები არაერთხელ ეწვივნენ საქართველოს. მათ ხშირად ქართული შინაგანი ჯარები მასპინძლობდნენ. ახლახან კი თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის საიუბილეო ზეიმზე მიწვეული იყო ჩვენი ჯარების მრავალრიცხოვანი დელეგაცია.

გთავაზობთ ინტერვიუს დელეგაციის ხელმძღვანელთან, საქართველოს შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილესთან ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲨᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

– ბატონო გრიგოლ, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით თურქეთიდან?

– უაღრესად დიდი შთაბეჭდილებით, აქ მარტო ღონისძიებების მასშტაბურობაზე როდია საუბარი. ჩვენთვის სასიამოვნო იყო ის გულითადი დამოკიდებულება, რომელიც გამოიჩინეს თურქმა კოლეგებმა საქართველოს, მისი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართ, რომლის დიდ ავტორიტეტს უმადლიან ამ ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ეგრძნობინებინათ თავიანთი დაინტერესება ჩვენი ქვეყნით, მისი სამომავლო ღირებულებებით.

– ეს კეთილგანწყობილება მათ საქმითაც დაამტკიცეს არაერთხელ...

– დიახ. და ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მარტო იმის თქმა კმარა, რომ ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების უკვე მესამე ნაკადი სწავლობს თურქეთის ჟანდარმერიის სამხედრო სასწავლებელში. ეს სამხედრო აკადემია კი ერთ-ერთი მოწინავე რომ არის მსოფლიოში, ესეც კარგად მოგეხსენებათ. და თანაც, თურქები ყოველნაირი ანაზღაურების გარეშე აკეთებენ ამას, გვიმზადებენ პროფესიონალ კადრებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ქართული შინაგანი ჯარების აღმშენებლობის ამ ახალ ეტაპზე. თურქეთში მომზადებული და გადამზადებული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების პირველი ნაკადის წარმომადგენლები უკვე შეუდგნენ მოღვაწეობას ჩვენს ჯარებში და, უნდა ითქვას, რომ ისინი მართლაც გამოირჩევიან თავიანთი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით.

– თქვენ ბრძანეთ, თურქები ყოველნაირად ცდილობდნენ ეგრძნობინებინათ დაინტერესება ჩვენთან კეთილგანწყობით. ამ დაინტერესების იქით, კიდევ რა შეიძლება კაცმა იგულისხმოს?

– დღევანდელმა მსოფლიომ უკვე მტკიცედ გაიცნობიერა, რომ კონფლიქტებითა და ქიშპობით ვერაფერს მივაღწევთ, ომის, სიკვდილისა და სიღატაკის გარდა. მარტო თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა თუ მოგვიტანს სიკეთეს, მით უმეტეს მეზობლებთან ურთიერთობაში.

– დიახ, უპირველესად, ქართველმა იცის ასეთი მეზობლობის ფასი. ხომ მოგეხსენებათ, მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.

– სინათლეც არის და სიძლიერეც. ასე ყოფილა, ასე იყო და ასე იქნება. ამიტომ თურქულ-ქართული მეგობრული ურთიერთობები დღეს ერთნაირად მისაღებია ორივე ქვეყნისთვის – ეს მშვიდობისა და სიძლიერის გარანტიაა. ამიტომაც ანიჭებენ ორივე ქვეყნის ხელმძღვანელები ამგვარ ურთიერთობებს უდიდეს მნიშვნელობას.

– როგორც ვიცი, დელეგაციაში შინაგანი ჯარების ანსამბლი „მხედრულიც“ იყო.

– „მხედრულმა“ განსაკუთრებული მოწონება და აღფრთოვანება დაიმსახურა. თურქებმა იციან ქართული ხელოვნების ფასი. მართალია, ჩვენი რელიგიური მრწამსი განსხვავებულია, მაგრამ საუკუნეობით ნაქადაგები კონფრონტაციის შემდეგ, მეგობრობისა და თანამშრომლობისკენ გადადგმული ნაბიჯების მნიშვნელობა ერთობ რელიეფურად გამოიკვეთა. მით უფრო, როცა, ამას ერთვის თითოეული მოქალაქის, თითოეული ჩვენგანის კეთილი ნება ურთიერთპატივისცემისა.

– ბატონო გრიგოლ, ასეთი მასპინძლობის შემდეგ დაღლას ვერ გამჩნევთ.

– ადამიანები ნამდვილი მეგობრობითა და სიყვარულით არასოდეს იღლებიან, მით უმეტეს, როდესაც მას მშვიდობისა და კეთილდღეობისაკენ მივყავართ...

ესაუბრა
ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: გრიგოლ შონია (მარცხნიდან) თურქ კოლეგებთან.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ

სანაპირო დაცვა მლიერდება

1991 წლის 4 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს შავი ზღვისპირა სასაზღვრო ზოლი მდინარე ფსოუს შესართავიდან იმ პირობით ხაზამდე განისაზღვრა, რომელიც ძველ ქართულ სოფელ სარფს თითქმის შუაზე ჰყოფს. საქართველოს ტერიტორია 309 კმ-ზე ემიჯნება შავ ზღვას. აქედან აჭარის რეგიონი მოიცავს 48 კმ-ს (26 საზღვაო მილი); ფოთი – 58 კმ (31 საზღვაო მილი); აფხაზეთი 203 კმ (11 საზღვაო მილი). სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სამი შავი ზღვისპირა საპორტო ქალაქია – ბათუმი, ფოთი და სოხუმი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვარზე, ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში სახელმწიფოებრივი იურისდიქციის განხორციელებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში 1998 წლის 16 ივლისს ჩამოყალიბდა სანაპირო დაცვის სამსახური, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი მმართველობის ქვედანაყოფებისა და შენაერთების ერთობლიობას.

ამ ეტაპზე სანაპირო დაცვის სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენს სასაზღვრო ძალების შტაბის საზღვაო განყოფილება, აჭარისა და ფოთის რეგიონებში განლაგებული I და II საზღვაო დივიზიონები.

საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახური ხელმძღვანელობს კანონით „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, „საზღვაო სივრცის შესახებ“, აგრეთვე, სხვა შიდა ნორმატიული აქტებით, საერთაშორისო საზღვაო და **ᲔᲣᲗᲝᲡ** კონვენციებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან წარმოადგენდა „აბრეშუმის დიდი გზის“ იმ მონაკვეთს, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთის ცივილიზაციებს, საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთთან აკავშირებდა. დღეისათვის სწორედ საქართველოზე და, კერძოდ, შავ ზღვაზე გადის „კავკასიის სატრანსპორტო დერეფანი“, რომლის მნიშვნელობა აზიისა და ევროპის ურთიერთობების გააქტიურებაში ძალზედ სწრაფად „იზრდება“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კავკასიაში საქართველო სატრანზიტო ფუნქციის პარალელურად, სტრატეგიული მდგომარეობიდან გამომდინარე, არალეგალური ბიზნესისა და ტრანს-ეროვნულ დანაშაულობათა ორგანიზატორების ყურადღების ცენტრში ექცევა, მოსალოდნელია აგრეთვე, კრიმინალურ ქმედებათა გააქტიურებაც. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით, არალეგალური მიგრაცია, აგრეთვე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისა და სპარსეთის ყურისაკენ იარაღის, ზუსტი ტექნოლოგიებისა და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ექსპორტი, ინდოჩინეთიდან და აზიიდან ევროპისაკენ ნარკობიზნესის გავრცელება. ყველაფერ ამას დაემატა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები.

კონტინენტური ევროპის თითქმის ერთი მესამედი შავი ზღვის აუზს განეკუთვნება. იგი დაახლოებით ორ ათეულამდე სახელმწიფოს მოიცავს. ამ ქვეყნების დაინტერესება შავი ზღვისადმი განსაკუთრებულია, სწორედ მასთან არის დაკავშირებული ამ სახელმწიფოების სასიცოცხლო ეკონომიკური პოტენციალი.

შავი ზღვის აუზის გარშემო შექმნილ პრობლემებზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ და თავდაცვით სფეროში, პასუხისმგებლობას ექვსი ქვეყანა ინაწილებს: საქართველო, ბულგარეთი, თურქეთი, რუმინეთი, უკრაინა და რუსეთი. მეგობარ ქვეყნებს შორის დადებულია ხელშეკრულებები: კონტრაბანდისა და სხვა სახის არალეგალური ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში; ინფორმაციის ურთიერთ გაცვლაზე; საზღვაო სპეციალისტების სათანადო დონეზე მომზადების შესახებ; ძებნისა და სამაშველო ოპერაციების ერთობლივი სამუშაოების ჩატარებაზე და სხვა.

2000 წლის მაისში, თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის სამსახურის ინიციატივით, ქალაქ სტამბოლში, საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ ტრადიციას, შავი ზღვის აუზის ქვეყნების სასაზღვრო უწყების და სანაპირო დაცვის სამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრას ურთიერთთანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. შუალედში ხორციელდება ექსპერტთა ჯგუფების ერთობლივი სამუშაო შეხვედრაც. 2001 წლის სექტემბერში, რიგით მეორე შეხვედრა მოეწყო ბულგარეთში, ქ. ვარნაში, ხოლო მესამე შეხვედრა დაგეგმილია 2002 წელს რუმინეთში.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისადმი დასმული ამოცანებიდან გამომდინარე, უკვე რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს სანაპირო დაცვის სამსახურის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესი. მიმდინარეობს ქვედანაყოფების დაკომპლექტება, პირადი შემადგენლობითა და შესაბამისი მცურავი საშუალებებით აღჭურვა. საზღვარგარეთის ქვეყნების თანადგომითა და დახმარებით აღნიშნულ პროცესში გარკვეული პროგრესი შეიმჩნევა. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა უკრაინა, თურქეთი, გერმანია და განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ამერიკის შეერთებული შტატები, დიდ დახმარებას უწევენ დეპარტამენტს კადრების მომზადებასა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

1997 წელს, ექვსთვიანი საზღვაო მომზადების შემდეგ (უკრაინა, ქ. იზმაილი) სანაპირო დაცვის სამსახურში ფუნქციონირება დაიწყო პირველმა „გრიფის“ ტიპის კატარღამ ქართული ეკიპაჟით. იმავე წელს უკრაინაში შევიძინეთ ორი „გრიფის“ და ერთი ერთეული „205 პროექტის“ მცურავი საშუალება.

1998 წელს საქართველოს სანაპირო დაცვის შემადგენლობაში შევიდა გერმანიის მხარის მიერ გადმოცემული ხომალდი „აიეტი“. ხომალდის ეკიპაჟმა სწავლება გაიარა გერმანიაში. სადარაჯო ხომალდი „აიეტი“ სანაპირო დაცვის სამსახურის „ფლაგმანს“ წარმოადგენს.

II საზღვაო დივიზიონში ფუნქციონირებს, აგრეთვე, ორი მცირე, სწრაფმავალი სადესანტო კატარღა, რომელიც დიდი ბრიტანეთის საზღვაო ძალებმა გადმოგვცა.

აშშ-ს დახმარების პროგრამის ფარგლებში სანაპირო დაცვას გადმოეცა ორი მცირე საპატრულო და ერთი საპატრულო-სამაშველო კატარღა. აშშ-ს თანადგომით განხორციელდა ხომალდებისა და კატარღების, კავშირგაბმულობისა და სანავიგაციო საშუალებების მოდერნიზაცია. აშშ-ს მთავრობა კვლავაც გააგრძელებს დახმარების გაწევას განათლების, წვრთნებისა და აღჭურვილობის მოწოდების სფეროში. 2002 წლის აპრილ-მაისში სანაპირო დაცვას გადმოეცემა კიდევ ერთი საპატრულო-სამაშველო კატარღა. ამგვარი ტიპის კატარღა გასულ წელს შევიდა სანაპირო დაცვის შემადგენლობაში და თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით აკმაყოფილებს სამსახურის მოთხოვნებს. დიდ დახმარებას გვიწევენ სანაპირო დაცვის მცურავი საშუალებების რემონტისა და პირადი შემადგენლობის მომზადების სფეროში; სანაპირო დაცვის სამსახურის ოთხმა ოფიცერმა აშშ-ს დახმარების პროგრამის ფარგლებში ერთწლიანი სანაპირო დაცვის ოფიცრის კურსი გაიარა. ამჟამად, ამ კურსებზე სწავლებას გადის სამი სამხედრო მოსამსახურე. სანაპირო დაცვის ქვედანაყოფებში აშშ-ს ინსტრუქტორების მიერ სისტემატურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სასწავლო პროგრამების განხორციელება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური პრობლემების გამო ამ რეგიონში დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. ბუნებრივია, არსებული არასტაბილური ვითარების გამო, სახელმწიფო იღებს ყველა ზომას, რათა აღკვეთოს არალეგალური, კანონდამრღვევი ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებენ საქართველოს ინტერესებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პორტებში მიმავალ საზღვაო კომუნიკაციებზე კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრისა და 1999 წლის 19 მაისის შესაბამისად № 140 და № 328 ბრძანებულებები, რომლებითაც განისაზღვრა ზემოთ აღნიშნულ რეგიონში განლაგებული პორტების და მიმდებარე საზღვაო რაიონების სტატუსი, აგრეთვე, საზღვარგარეთის გემების ნაოსნობის მექანიზმი. მარეგულირებელი დოკუმენტები დადგენილი წესით გადაეცა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს და შავი ზღვის ქვეყნების დაინტერესებულ უწყებებს.

1999-2001 წლებში ოთხი ათეული მცურავი საშუალება იქნა გაფრთხილებული სხვადასხვა სამართალდარღვევის გამო. საზღვაო საზღვრის დარღვევის გამო დავაკავეთ 7 გემი, ნაოსნობისთვის აკრძალულ ზონაში დავაკავეთ 10 გემი, ხოლო 3 გემს ჩაუტარდა სამაშველო ოპერაცია.

სანაპირო დაცვის სამსახური აქტიურად მონაწილეობს ნატოს პროგრამით გათვალისწინებულ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საკომანდო-საშტაბო და პრაქტიკულ სწავლებებში. ამის თვალნათელი მაგალითია მიმდინარე წლის ივნისში ნატოს პროგრამით ქ. ფოთში ჩატარებული საზღვაო წვრთნები.

ისევ პრობლემად რჩება ფინანსური მხარეც. როგორც ცნობილია, სამოქალაქო ფლოტში მომუშავე მეზღვაურის ხელფასი 50-ჯერ აღემატება სანაპირო დაცვის მოსამსახურეთა ხელფასს – პასუხისმგებლობა კი ერთობ დიდია. ეს ფაქტი განაპირობებს საზღვაო სპეციალისტების დეფიციტსაც. პროფესიონალი კადრების მომზადება, სასაზღვრო ძალებში არსებული მცურავი საშუალებების ექსპლუატაცია და მათი მომსახურება მოითხოვს ეკიპაჟის შესაბამის პროფესიულ განათლებას. გემებსა და კატარღებს პერიოდულად ესაჭიროება სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, დიდ დახმარებას გვიწევს საზღვარგარეთის ქვეყნები. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სახელმწიფომ დააჩქაროს გემთმშენებლობის პროგრამის შემუშავების საკითხი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული მცურავი საშუალებების რემონტი, გარკვეულ ეტაპზე თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალი მცურავი საშუალებების პროექტების მშენებლობის პერსპექტივები და არსებული მცურავი საშუალებების მოდერნიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. მეგობარი ქვეყნების დახმარებით დღესაც აქტიურად მიმდინარეობს სანაპირო დაცვის ქვედანაყოფებში არსებული ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესი. შეძლებისდაგვარად მოგვარებულია ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პრობლემებიც, თუმცაღა, საზღვაო დივიზიონების ელექტროენერგიით უწყვეტად მოუმარაგებლობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვედანაყოფების სამსახურებრივ საბრძოლო მოღვაწეობაზე. მართალია, დივიზიონებში დამონტაჟებულია ელექტროკვების ადგილობრივი მაღალი ძაბვის გენერატორები, მაგრამ საწვავის მომარაგების საკითხი ამ მხრივ კვლავაც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

აქამდე არსებული საზღვრის მართვისა და კონტროლის სისტემებს შეემატა სრულყოფილი სისტემა „იორი“, რომელიც მნიშვნელოვნად აადვილებს საზღვრის პერიმეტრზე ფართომასშტაბიან თვალთვალს. სისტემის აგების პრინციპების შემუშავება გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა. ეს სისტემა კავშირის, თვალთვალისა და კონტროლის ქვესისტემებისაგან შედგება. როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო საზღვრის დაცვისა და კონტროლის საქმეში „იორის“ მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო სანაპირო დაცვის სამსახური, მეგობარი ქვეყნების თანადგომით, იხვეწება და მაქსიმალური სრულყოფისკენ ისწრაფვის. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი სანაპირო დაცვა ერთ-ერთი საიმედო იქნება რეგიონში.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ერთი დღე სანაპირო დაცვის ქართველ მესაზღვრეებთან.

კონფერენცია

სამედიცინო განათლება — გლობალური ცვლილებების ეტაპზე

1999 წელს ბოლონიაში მიღებულ ცნობილ დეკლარაციაში, რომელსაც ხელს აწერენ მსოფლიო თანამეგობრობის მოწინავე ქვეყნის განათლების მინისტრები, ხაზგასმულია, რომ უსაფრთხო, სტაბილური, დემოკრატიული საზოგადოების შექმნისათვის აუცილებელია აღიარებულ ზნეობრივ კატეგორიებზე, საერთო ადამიანურ ღირებულებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია კონფლიქტები, დაპირისპირებანი.

11 სექტემბრის მოვლენებმა, სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს მოსაზრება. წარმოდგენილ კონტექსტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამედიცინო განათლება, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო და ევროპული ოფიციალური და არაოფიციალური და არასამთავრობო სტრუქტურების შეუნელებელი ყურადღების ქვეშ მოექცა. ბიოსამედიცინო დარგის უკანასკნელმა მიღწევებმა, კვლევისა და მკურნალობის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ, ავადმყოფობათა მართვის კომპიუტერული სისტემების შექმნამ, თვით უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში რადიკალური ცვლილებების აუცილებლობა მოითხოვა.

„სამედიცინო განათლება და სტანდარტები ცვლილებების ეპოქაში“, — ასეთი იყო თემატიკა იმ წარმომადგენლობითი საერთაშორისო ფორუმისა, რომელიც წლეულს სექტემბერში ბერლინში ჩატარდა, სახელგანთქმული შარიტეს კლინიკის (ჰუმბოლტდის უნივერსიტეტი) ბაზაზე. 50 ქვეყნის 850 დელეგატი, 6 წინასაკონფერენციო შეხვედრა, 12 პლენარული სხდომა, 385 ზეპირი და 267 პოსტერული მოხსენება, 32 სექციური სხდომა — ასე გამოიყურებოდა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE) ტრადიციული ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც ამჯერად სწორედ ცვლილებათა სტრატეგიულ მიმართულებებს მიეძღვნა.

დასახელებული ორგანიზაცია, რომელიც გაეროს, ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების პატრონაჟითა და რეკომენდაციებით ფუნქციონირებს, ერთგვარი უპირველესი კანონმდებელია უმაღლესი სამედიცინო განათლების დარგში, არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. AMEE-ს წევრი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 1998 წლიდანაა. ჩვენი უნივერსიტეტი ერთ-ერთი დამფუძნებელიცაა ასოციაციის რეგიონული ქვედანაყოფის — აღმოსავლეთ ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციისა.

ისტორიული მნიშვნელობის მქონე ბერლინის შეკრებაზე ხაზი გაესვა აუცილებლობას, რათა განისაზღვროს გლობალური არსებითი მოთხოვნები და სტანდარტები, დაზუსტდეს აუცილებელი ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია, რაც უნივერსალური იქნება სამედიცინო პრაქტიკაში.

საერთაშორისო სამედიცინო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა, დარგის განვითარების ტენდენციებმა ცალკეულ ქვეყნებში შესაბამისი გარდაქმნების აუცილებლობა მოითხოვა. დღის წესრიგში დადგა ურთულესი ამოცანა: უმაღლესი სამედიცინო სკოლა უნდა დაექვემდებაროს ცვლილებათა კანონზომიერებას, ამასთან, შეინარჩუნოს აკადემიზმი, ტრადიცია, სპეციფიკა. პროფესორ აბრაჰამსონის აზრით, სამედიცინო სკოლის მიზნები ქვეყანაში საზოგადოების მოთხოვნებიდან, სამედიცინო პრაქტიკის და მეცნიერების მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

იმ მრავალრიცხოვან არგუმენტთა შორის, რომლებიც ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვის მომხრეებმა ვირხოვის კლინიკაში წარმოადგინეს, საყურადღებო იყო დარგის აღიარებული ექსპერტის, პროფესორ ბანდარანაიაკეს მოსაზრება: „რატომ არის აუცილებელი სამედიცინო სკოლების ერთიანი სტანდარტების დამკვიდრება ეროვნულ დონეზე?

შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის საჭიროებანი ასე თუ ისე უნიფორმულია, ნებისმიერი უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ამ საჭიროებებთან გამკლავება. საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს ექიმის კომპეტენციაში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სასწავლებელი აქვს მას დამთავრებული. ზოგიერთ ქვეყანაში სოკოებივით მომრავლებული კერძო სამედიცინო სკოლები, რომელთაც საეჭვო მოტივები და მწირი რესურსები გააჩნიათ, შიშისა და ეროვნული სტანდარტების შემოღების აუცილებლობის საფუძველს ქმნიან. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ეს სტანდარტები ხელს არ უშლიდეს ინოვაციასა და მრავალფეროვნებას“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი უკვე მეათე წელიწადია საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ საქმიან ურთიერთობებს აწარმოებს. შედეგი თვალსაჩინოა: უნივერსიტეტი არის უნივერსიტეტთა მსოფლიო ასოციაციის, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის, სამედიცინო განათლების ევროპული ასოციაციის, სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის წევრი. ეს არა მხოლოდ სამედიცინო უნივერსიტეტის საქმიანობის, არამედ მთლიანად საქართველოს სამედიცინო საგანმანათლებლო სკოლის დიდი აღიარებაცაა, ქართული საუნივერსიტეტო განათლების დაფასებაც არის.

საინტერესოა ამ ურთიერთობათა დინამიკა: თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი თუ ათეული წლის წინათ საერთაშორისო შეკრებების მოკრძალებული დამკვირვებლის როლში იყო, დღეს მის საქმიანობას ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის კონფერენციაზე ორი სექციური სხდომის მუშაობა ეძღვნება, ხოლო მსჯელობისათვის მიმართულების მიცემას და შემაჯამებელი დოკუმენტების სტრატეგიის განსაზღვრას ასოციაციის ხელმძღვანელები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანს სთხოვენ. ბერლინის შეკრებამ აჩვენა, რომ ქართული სამედიცინო განათლების ტრადიციული და უძლიერესი კერა — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ტონის მიმცემი და სამაგალითოა მრავალი სამედიცინო სკოლისათვის. კონფერენციის მასალებში მოწონებულია ჩვენი უნივერსიტეტის გამოცდილება სასწავლო პროცესის რეფორმის განხორციელებაში და იგი აღმოსავლეთ ევროპის და რიგი განვითარებადი ქვეყნებისათვის ნიმუშად, მაგალითად არის დასახული.

ჩვენი დელეგაცია ექვსი წევრით იყო ბერლინში წარმოდგენილი აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის ხელმძღვანელობით. ძნელია ერთ საგაზეთო სტატიაში წარმოჩინდეს პრობლემათა მთელი სპექტრი, რაც კონფერენციის მსვლელობაში გამოიკვეთა, მაგრამ ორ მათგანზე მაინც შევჩერდებით. 1. კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად გაუსვეს ხაზი იმ გარემოებას, რომ უმაღლესი სამედიცინო სკოლის პრიორიტეტი არა მხოლოდ დიპლომამდელი, არამედ დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებაცაა; სახელმწიფო მეკვეთის საფუძველზე სწორედ ტრადიციულ უმაღლეს სამედიცინო სკოლაში აღიზრდებიან უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმები.

სასწავლო დაწესებულება პასუხისმგებელია არა მარტო მათ მომზადებაზე, არამედ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაზე. საუნივერსიტეტო კლინიკებში ხდება ყველა იმ პროგრამისა და გეგმის შესრულება, რაც ექიმების მომზადებას უკავშირდება, მათ შორის, კვალიფიკაციის და სპეციალიზაციის საკითხებსაც;

2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, მსგავსად სხვა რამდენიმე ტრადიციული სამედიცინო სკოლისა (როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ევროპიდან), ნება დაერთოთ გააკეთონ განაცხადი ევროკავშირთან არსებული სამედიცინო საბჭოს მიერ აკრედიტაციის მიღების თაობაზე. ეს იქნება ახალი ერა ქართული სამედიცინო განათლების ისტორიაში, უძლიერესი იმპულსი, რაც ახალ ჰორიზონტებს დაუსახავს ქართველ მედიკოსებს და სტუდენტებს ევროპულ და მსოფლიო პროცესებში ინტეგრაციის გზაზე. უფრო მეტიც, სამედიცინო სკოლების ამერიკის საერთაშორისო საკრედიტაციო და ექიმთა სასერტიფიკაციო კომიტეტმა უმნიშვნელოვანესი ევრო-აზიური პროექტის განხორციელებისათვის ერთ-ერთ პერსპექტიულ და საიმედო პარტნიორად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაასახელა.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ის შეფასებები, რაც AMEE-ს გენერალურმა მდივანმა, პროფესორმა რონალდ ჰარდენმა, აღმასრულებელი საბჭოს დირექტორმა, პროფესორმა მარგარიტა ბარონ-მალდონადომ, საბჭოს წევრმა, აღმოსავლეთ ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა იოან ბოქსანმა მისცეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების კურსს, აგრეთვე, ქართული დელეგაციის მონაწილეობას ამ წარმომადგენლობით საერთაშორისო ფორუმში.

კონფერენციის მსვლელობაში დელეგატები გაეცნენ მასპინძელი — ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის შარიტეს საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე ორგანიზებულ სასწავლო პროცესს. უმაღლესი სამედიცინო განათლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის — ვირხოვის სახელობის სახელგანთქმულ კლინიკაში ბევრი რამ იყო საინტერესო და საგულისხმო. ქართულ დელეგაციას ღირსეული მეგზურობა გაუწია ამავე კლინიკის პროფესორმა, თსსუ სამეცნიერო საბჭოს საპატიო წევრმა იუზეფ მიხელმა, რომელსაც მრავალწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს თსსუ-თან. ასევე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა გულთბილმა შეხვედრამ საქართველოს საელჩოში. საქართველოს ელჩმა გერმანიაში კოტე გაბაშვილმა ხაზი გაუსვა მსგავსი საქმიანი კონტაქტების აუცილებლობას საქართველოში მეცნიერების, მედიცინის განვითარებისათვის.

ბერლინის საერთაშორისო კონფერენციამ ერთხელ კიდევ აჩვენა, რომ მოვლენების ეპიცენტრში ყოფნის, აქტიური კონტაქტების, დაუღალავი შრომის, ძიების გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი პროგრესი, მით უმეტეს, სამედიცინო განათლების — ამ მუდმივად განვითარებადი, განახლებადი, მრავალკომპონენტიანი სისტემისა, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა ღირსეული ტრადიციები საქართველოში და მისი მომავალიც საიმედო ხელშია.

ბადრი ზაზაძე.

ქალაქის სატელეფონო ქსელი გაცნობებთ, რომ დიდი ტევადობის კაბელის კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით ა/წლის 12 ოქტომბრიდან შეუწყდებათ სატელეფონო კავშირი ორგანიზაციებს და მოქალაქეებს შემდეგ მისამართებზე:

მთლიანად საბურთალოს ქ. მე-3 კორპუსს, აგრეთვე საბურთალოს ქ. № 53, № 54, № 55, № 59, № 63.

აღდგენით სამუშაოებს აწარმოებს დიდუბის სატელეფონო კვანძი.

სატელეფონო კავშირები აღდგება — ა/წლის 15 ოქტომბერს.

შექმნილი უხერხულობისათვის სატელეფონო ქსელი თავის აბონენტებს ბოდიშს უხდის.

ადმინისტრაცია.

ჩემპიონატის ექო

სტუმრებიც და მასპინძლებიც კმაყოფილი დარჩნენ

უკვე გაუწყეთ, რომ თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა კარატისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 18 ქვეყნის 1200-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა სხვადასხვა ასაკში. შეჯიბრების ორგანიზაციითა და მასპინძლობით კმაყოფილი დარჩნენ სტუმრები, მათ შორის — შოტოკან კარატედოს საერთაშორისო ფედერაციის მთავარი ინსტრუქტორი, მე-8 დანის მფლობელი პიტოში კასუია.

— დიდი ხანია, საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, კარგად ვიცნობ თქვენს სტუმართმასპინძლობას, მაგრამ ყველაფერი თუ ასე ჩინებულად ჩაივლიდა, ნამდვილად არ მეგონა, — მითხრა მან, — დიდი მადლობა საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას და მის პრეზიდენტს კახა ბასილიას, რომლებმაც კარგად გაართვეს თავი ყველა სიძნელეს.

შეჯიბრების მონაწილე ყველა გუნდი სათანადოდ იყო მომზადებული. მათ შორის ოსტატობაში მცირე სხვაობის გამო პრიზიორების გამოვლენაც ჭირდა. თავი ისახელეს ქართველმა სპორტსმენებმა, თუმცა, ხშირად შეჯიბრებებზე თქვენებს ბედი არ სწყალობთ.

კახა ბასილია, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: ამ ჩემპიონატისთვის ორი წელიწადი ვემზადებოდით. ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა. არადა, თავიდან უამრავი პრობლემა გვქონდა. კეთილი ადამიანების ხელშეწყობით ყველაფერი დროულად მოვაგვარეთ. ტატამი ჩვენი საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით საბერძნეთში შევიძინეთ და ჩამოვიტანეთ. დიდი თანადგომა გაგვიწიეს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, თბილისის მერიამ, მოქალაქეთა კავშირმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, სპონსორებმა, სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ. ყველას დიდი მადლობა გულისხმიერებისათვის.

ახალი საუკუნე ორთაბრძოლების წარმომადგენლებმა ჩინებულად დაიწყეთ — ეს შეეხება, როგორც მასპინძლობას, ისე ჩემპიონატზე ნაჩვენებ შედეგებს, რაც ერთგვარი სტიმული იქნება სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებისთვის.

ტატამზე — მთელი ოჯახით

სვეტლანა ვილკინას კარგად იცნობენ ბელორუსიელი სპორტის ქომაგები. კარატე-დოში ქვეყნის 30-გზის ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონატების 8 ოქროს მედლის მფლობელს და მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის გამარჯვებულს კატაში ორი წლის წინათ პრეზიდენტ ლუკაშენკოს ბრძანებულებით ბელორუსის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. სვეტლანა ვილკინა ერთადერთი კარატისტია ქვეყანაში, ვინც ამ წოდებას ატარებს. სპორტსმენმა ქალმა, რომელიც 41 წლისაა და მე-4 დანი აქვს, თავისი მაღალი ოსტატობა თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზეც დაადასტურა — მან სამი ოქროს მედალი დაიმსახურა.

— კარატეში ვარჯიში ჩვიდმეტი წლისამ დავიწყე, — მითხრა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სვეტლანამ, — ჩემმა მეუღლემ, ანდრეიმ, მიმიწვია პირველად დარბაზში, სადაც თვითონ ვარჯიშობდა. ოფლში გახვითქული მამაკაცების ხილვამ, რომლებიც შიგადამიგ არაბუნებრივად შეჰყვიროდნენ ხოლმე, სიცილის გუნებაზე დამაყენა. გავიფიქრე, ამას როგორ შევეგუები-მეთქი.

— სპორტთან მანამდე ურთიერთობა არასდროს გქონიათ?

— როგორ არა. სამი წელიწადი სპორტულ ტანვარჯიშზე დავდიოდი, მერე აკრობატიკაზე — ჯერ წყვილებში ვცადე ბედი, მოგვიანებით — სამეულებში. საერთაშორისო ტურნირზეც ჩამოვედი თბილისში სამოცდაათიანი წლების მიწურულს და მე-7 ადგილზე გავედი. აკრობატიკის პარალელურად კარატეშიც დავიწყე ვარჯიში — ანდრეის ვერ გავუტეხე ხათრი. ჩვენ მაშინ მხოლოდ შეყვარებულები ვიყავით. 1980 წელს დავქორწინდით. მერე ქალიშვილი ოლგა შეგვეძინა. 1983 წელს საბჭოთა კავშირში კარატე აიკრძალა და მხოლოდ 1990 წელს განვაახლეთ წვრთნა. მომდევნო წელს ანდრეიმ ბელორუსში კარატეს ეროვნული ფედერაცია დააფუძნა და დღემდე ხელმძღვანელობს მას.

— საერთაშორისო ტურნირში პირველად როდის იასპარეზეთ?

— შვიდი თუ რვა წლის წინათ. მაშინ ძალიან ჭირდა უცხოეთში გასვლა. კახა ბასილიას დახმარებით მე და ჩემმა მეუღლემ პირველად რუმინეთში ვიასპარეზეთ საერთაშორისო ტურნირზე. იქ გავიცანით პიტოში კასუია, რომელმაც საკუთარი სახსრებით იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონატზე მიგვიწვია. დებიუტი უიღბლო გამოდგა. სამაგიეროდ, 1997 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოვიპოვე კატაში, ანალოგიური მიღწევა მარმანაც გაიმეორა.

— კარატეს ილეთები აბეზარი მამაკაცების წინააღმდეგ თუ გამოგიყენებიათ?

— მართალია, არ მეშინია, მაგრამ რისკზე არასდროს მივდივარ, ბნელ კუთხეში არ ვეძებ თავგადასავლებს. ვცდილობ, შინ დღის სინათლეზე მივიდე, გვიან კი ქუჩაში უცხოს არ გამოველაპარაკო. თუმცა, ერთხელ მაინც მომიხდა მუშტის გამოყენება: ვიღაც ნასვამი ყმაწვილი ერთ მშვენიერ გოგონას გადაეკიდა ქუჩაში და გზას არ აძლევდა. გოგონა ატირდა. გამვლელ მამაკაცთაგან ყურადღება არავინ მიაქცია. იძულებული გავხდი, გამოვქომაგებოდი. ყმაწვილი უხეშად მომექცა და საკადრისიც მიიღო. ისე, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ, კარატისტებს, აკრძალული გვაქვს ქუჩურ ჩხუბში ჩაბმა.

— თქვენ მხოლოდ კატაში ასპარეზობთ. კუმიტე არ გიზიდავთ?

— მინსკის პოლიტექნიკურ აკადემიაში ვმუშაობ და მასწავლებლისთვის ჩალურჯებული თვალებით სტუდენტების წინაშე წარდგომა მაინცდამაინც სახარბიელო არ უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ორთაბრძოლებისას ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა.

— შვილებზე რას იტყვით?

— ოლგა პოლიტექნიკური აკადემიის მე-3 კურსის სტუდენტია. კარატეში საკმაოდ კარგი მაჩვენებლები აქვს. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორია. მეორე დანს ფლობს, ვაჟი — ალექსეი 12 წლისაა. ისიც კარატეში ვარჯიშობს. ამ ჩემპიონატზე გუნდურ კატაში მე-3 ადგილი დაიკავა.

— ასაკის გამო პროფესიული სპორტისთვის თავის დანებებას ხომ არ აპირებთ?

— ჯერჯერობით ახალგაზრდებს იოლად ვუმკლავდები, ამიტომ დიდი სარბიელიდან წასვლას არ ვაპირებ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

სურათებზე: პიტოში კასუია; კახა ბასილია, დედა-შვილი სვეტლანა და ოლგა ვილკინები.

რობერტ ბაბოიანის ფოტო.

ფეხბურთი

მოზარდები — მწვანე მინდვრებზე



7 წლამდე ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთი ჯგუფის გათამაშება უეფამ თბილისში დანიშნა. იგი 15 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე აიღებს სტარტს და მასში საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინისა და ისრაელის ნაკრები გუნდები იასპარეზებენ. ამ ასპარეზობისთვის მზადების მიზნით, აგვისტოში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები ლიტვის საკურორტო ქალაქ პალანგის საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირში გამოვიდნენ და ფინალური მატჩი მხოლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმებით დათმეს — 3:4 რუსეთის ფედერაციის თანატოლებთან. ლიტვიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ნაკრები თბილისში განაგრძობდა მზადებას ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირისათვის, რომლის გამარჯვებული შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლებას მოიპოვებს. ახლახან კობა ჟორჟიკაშვილმა თავისი ნაკრების 18 ფეხბურთელი გაგვაცნო, რომლებიც 15 ოქტომბრიდან „ლოკომოტივის“ სტადიონზე ითამაშებენ. აი, ისინიც: მეკარეები — ზვიად ჩალაძე („ლოკომოტივი“, თბილისი), კახა ჯინჭარაძე („ვიტ-ჯორჯია“); მცველები — ზურაბ ბარაბაძე („ნორჩი დინამოელი“), ანზორ კალაძე (თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა), ბესო მიქიაშვილი („ყაზბეგი“, თბილისი), თემურ ლონლაძე („ივერია“, ხაშური), ირაკლი ჩაჩუა („იბერია“, სამტრედია), ლაშა ჭელიძე („ტორპედო“, ქუთაისი); ნახევარმცველები: ზაალ ელიავა („ყაზბეგი, თბილისი), გივი კაპანაძე (35-ე სკოლა), ზურაბ კეახაძე („ნორჩი დინამოელი“), გიგა კუტივაძე („იმერეთი“, ქუთაისი), გოჩა ხოჯავა („ყაზბეგი“, თბილისი); თავდამსხმელები: სანდრო იაშვილი („ვიტ ჯორჯია“), ვალერი კაციტაძე („ნორჩი დინამოელი“), გოგი ფიფია („ყაზბეგი“, თბილისი), ამირან ყაველაშვილი („გაზაფხული“, გორი), გიორგი ჭელიძე („აკადემია“, თბილისი).

თბილისის საკვალიფიკაციო ფეხბურთელთა ტურნირს მოემსახურებიან არბიტრები: სერგეი გუსევი, გენადი კრასიუკი (ორივე — რუსეთი) და რუმინელი ედგარ სორინ ალტმაიერი. უეფას დელეგატია ბელგიელი ჟორჟ დელაკური.

15 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთელები ბოსნია-ჰერცეგოვინის თანატოლებს ხვდებიან, 17 ოქტომბერს ისრაელის ნაკრები ბოსნია-ჰერცეგოვინას გუნდს ეთამაშება, ხოლო 19 ოქტომბერს მასპინძლები ისრაელის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

ყველა მატჩი 16 საათზე დაიწყება.

ჭიდაობა

ფილამ გადაწყვიტა

11 სექტემბერს ამერიკის ქალაქებში — ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში დატრიალებულმა ტრაგედიამ ჩაშალა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გეგმები იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს 2001 წლის ჩემპიონატები ბერძნულ-რომაულსა და თავისუფალ ჭიდაობაში ნიუ-იორკში გამართულიყო.

საგონებელში ჩავარდნენ ფილას ხელმძღვანელები, რომლებსაც 10 ოქტომბერს უნდა დაესახელებინათ ქვეყნები და მიეთითებინათ წლევანდელი სეზონის ამ უდიდეს ასპარეზობათა გამართვის თარიღები. ლოზანაში (შვეიცარია), ფილას საგანგებო სხდომაზე, ხანგრძლივი დებატების შემდეგ გადაწყდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 6-9 დეკემბრის საბერძნეთში გაიმართოს, ხოლო თავისუფალი სტილის ფალავანთა მსოფლიოს ფორუმს 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე სოფიამ (ბულგარეთი) უმასპინძლოს. საბერძნეთის რომელი ქალაქი მიიღებს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს, ეს უახლოეს მომავალში გაცხადდება.

ეს ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა, რომელიც 11 ოქტომბერს ლოზანაში ესაუბრა ფილას სამდივნოს წევრს, რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს მოსკოველ მიხეილ მამიაშვილს.

შალვა ჩიხლაძე.

ცინცხალი ამბები



24 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე მოსკოვში გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი ჭადრაკში ფიდეს ვერსიით. ანატოლი კარპოვი, რომელიც კასპაროვთან და კრამნიკთან ერთად ფედერაციის წინააღმდეგ გამოდიოდა იმ მოტივით, რომ ფიდემ გადაწყვიტა გათამაშებების ორწლიანი ციკლის შემოღება, ჩემპიონატში მონაწილეობაზე დათანხმდა.



მაიკლ ჯორდანმა „ვაშინგტონ უიზარდის“ რიგებში ჩაატარა თავისი პირველი მატჩი „დეტროიტის“ წინააღმდეგ. „ვაშინგტონმა“ ეს შეხვედრა წააგო 85:95, ხოლო ჯორდანმა კი გუნდს მხოლოდ 8 ქულა შესძინა.

ყოველი მხრიდან

100 დღეში — 100 მილიონი

ალბათ გახსოვთ, რომ მსოფლიო სპორტის „ვარსკვლავებმა“ (მათ შორის გოლფის სუპეროსტატმა ვუდსმა და ჩოგბურთელმა აგასიმ) გადაწყვიტეს, ტერაქტის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად 100 დღეში 100 მილიონი დოლარის შეგროვება. ეს აქცია ხორციელდება „აუქციონი ამერიკისათვის“ საიტის მეშვეობით.

სპორტული რელიკვიები, რომლებზეც ბოლო ხანებში დიდი მოთხოვნილებაა, „აუქციონის“ ორგანიზატორთა აზრით, დიდ წვლილს შეიტანს ამ უპრეცედენტო საქველმოქმედო აქციაში. 10 ათას დოლარზე მეტი შესთავაზეს ვუდსის მიერ აუქციონზე გამოტანილ 2000 წლის გოლფში ამერიკის ჩემპიონატზე მოპოვებული პრიზისათვის, 2000 დოლარს იძლევიან აგასის ავტოგრაფიან ჩოგანში. უიმბლდონის ტურნირის პროგრამა, რომელზეც სამპრასს „13“ დაუწერია „დიდ მუზარადის“ მატჩებში მორიგი გამარჯვების აღსანიშნავად, 1500 დოლარადაა შეფასებული. ჩოგბურთის ქალთა ასოციაციამ 16 წამყვანი ჩოგბურთელის სპორტული ფორმა წარადგინა. კონკურენციის გარეშეა კურნიკოვა. მის მაისურში 330 დოლარს იხდიან. აუქციონზე გამოიტანეს „ფორმულა-1“-ის პილოტების მუზარადები და სხვა აღჭურვილობა, საიდანაც აღებული ფული ტერაქტით დაზარალებულ ბავშვებს მოხმარდება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ სეხნია

ინგლისის პატარა ქალაქის ნორფოლკის მცხოვრებმა თავის ახალშობილ ვაჟიშვილს საყვარელი გუნდის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებისა და მწვრთნელების საპატივსაცემოდ დაარქვა მათი სახელი. ახლა ბავშვს ჰქვია: ალექ ფერგიუსონ ბარტეზ სილვესტერ ნევილ იონსენ ირვინ სტამ ბრაუნ მეი ბეკჰემ კონ სქოულ ბატ ვერონ გიგზ ჩედვიკ ქოულ იორკ ნისტელროი სულშერი. „ჩემს შვილს რასაც მინდა, იმას დავარქმევ“, — ამაყად განაცხადა ფეხბურთის დიდმა თაყვანისმცემელმა მამამ ჯოიდ გლავერ მენგუჯიმ.

თუკი კასტრო გიყვარს!

როგორც არაერთხელ ვწერდით, 2000 წლის იანვრიდან სახელოვანი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა კუბაში იმყოფება და ნარკოტიკებიდან საბოლოო თავის დაღწევისათვის მკურნალობს. ბუნებრივია, ლეგენდარული დიეგო არ ფარავს თავის სიმპათიებს ასევე ლეგენდარული ფიდელ კასტროსადმი, რასაც მარტო სიტყვებით არ გამოხატავს. თავის გამოსამშვიდობებელ მატჩზე მან კუბის ლიდერი ბუენოს-აირესში მიიწვია, თანაც 40 წლის მარადონამ ახალი სვირინგი გაიკეთა: არგენტინელის მარცხენა, „დამრტყმელი“ ფეხი ფიდელის პორტრეტმა დაამშვენა. უფრო ადრე ფეხბურთელმა ასევე დიდი თაყვანისცემა გამოხატა ჩე გევარასადმი. მისი პორტრეტი დიეგოს მხარზე აქვს ამოსვირინგებული.

სურათზე: ლეგენდარული მარადონა ახალი სვირინგით — ფიდელ კასტროს პორტრეტით.

სპორტის რედაქცია.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ისაკ იოსების ძე გაუარაშვილი, მცხოვრები ახმეტის რაიონის სოფელ ბაბანეურში.

სურათი მოგვაწოდა შალვა მარკოზაშვილმა.

გამოფენა

ვიტორიო სელა – ჩვენი მეგობარი

საქართველო თავისი განუმეორებელი, ეგზოტიკურად გამორჩეული ბუნების, კავკასიონის მიუვალი და ცადაზიდული გოროზი მწვერვალების, მისთვის დამახასიათებელი ეთნიკური მრავალფეროვნების და, რაც მთავარია, მდიდარი უძველესი ისტორიული წარსულის წყალობით, ყოველთვის მოქცეული იყო უცხოტომელ მოგზაურთა ყურადღების ცენტრში. ზოგიერთ მათგანს აქ ჩვენი ეთნოგრაფია და სულიერი კულტურა, ზოგს კიდევ ბუნების სილამაზე და მწვერვალების დაპყრობის დაუოკებელ ჟინთან ერთად საკუთარი თავის გამოცდა, თვით იქ მცხოვრებთა ადათ-წესების გაცნობა და მკაცრ გარემოსთან შერწყმული მათი სიჩაუქე და ვაჟკაცობა იზიდავდა.

იმ მრავალრიცხოვან მოგზაურთა შორის, რომლებმაც შემდეგ თავიანთი მეცნიერული ნაშრომების, ჩანაწერებისა თუ ფერწერული ჩანახატების წყალობით საქართველო ევროპელებს გააცნეს, იყო ცნობილი იტალიელი მკვლევარი, ალპინისტი და ფოტოგრაფი (აქ, ალბათ, უფრო უპრიანი იქნება სიტყვა ფოტოხელოვანი) ვიტორიო სელა, რომელმაც იმ დროისათვის – 1889-90 და 1896 წლებში თავისი უზადოდ გადაღებული ფოტოსურათების წყალობით დღემდე შემოგვინახა კავკასიის მთების სიდიადისა და მთიელთა იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების ამსახველი უნიკალური კადრები, რითაც პირველ რიგში ჩვენ, ქართველებს გაგვიწია უდიდესი, ფასდაუდებელი სამსახური.

ვიტორიო სელა თავისი პროფესიისათვის ეგზომ საჭირო, გამორჩეული თვალთახედვის უნარით დაჯილდოებული პიროვნება იყო და ალბათ, სწორედ ამანაც განაპირობა ფოტოხელოვნებაში მისი წარმატება. ჩვენ კი პირველად მის მიერ გაწეულ ღვაწლს შესანიშნავი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის რეზო თაბუკაშვილის მიერ გადაღებული ფილმით „ვიტორიო სელა“ საშუალებით გავეცანით.

ვიტორიო სელას, როგორც დახვეწილი ნიჭის მქონე ფოტოხელოვანის, დასახასიათებლად აქ ურიგო არ იქნებოდა ჰერმან ჰესეს სიტყვების პერიფრაზირება: ყველაფერი, რასაც ვხედავთ, გამოსახულებაა, ბუნება ენაა, რომელსაც საკუთარი სურნელი აქვს. ჩვენ კი, ადამიანები, სამწუხაროდ, მომზადებული არა ვართ ხაიმისოდ, ყოველივე ეს რომ აღვიქვათ. ვიტორიო კი ამ მხრივ ნამდვილად გამორჩეული პიროვნება იყო.

ამაში თავად დარწმუნდებით თუ ეროვნულ გალერეას ეწვევით, სადაც გუშინწინ საქართველოში იტალიის საელჩოს ინიციატივითა და საქართველოს კულტურის სამინისტროს თანადგომით მისი ფოტონამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენა გახსნა ეროვნული გალერეის დირექტორმა, მხატვარმა თემო გოცაძემ. ამ გამოფენის მნიშვნელობაზე, ქართველი და იტალიელი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე და, ამ თვალსაზრისით, ვიტორიო სელას მიერ გაწეულ ღვაწლზე, დამსწრეთ ესაუბრა იტალიის ელჩი საქართველოში მიქელანჯელო პიპანი.

სიტყვით გამოსულმა კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ თბილისში მოწყობილ ამ გამოფენას მნიშვნელოვანი მოვლენა უწოდა, რომელმაც თავის მხრივ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ქართველი და იტალიელი ხალხების შემდგომ მეგობრობაში. გამოფენის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ, აგრეთვე, მწერალი და დრამატურგი ლაშა თაბუკაშვილი და საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირის თავმჯდომარე ჯუმბერ ხანთაძე.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

სანთელი

ერის გულშიც იკაშკაშებს მარად

ბატონი ევგენი ხარაძე ბოლო დრომდე – ჩემი სიხარულის თუ მწუხარების ჟამს – ტელეფონით მესაუბრებოდა ხოლმე.

სხვადასხვა დროს აკადემიკოს ევგენი ხარაძისადმი მიძღვნილი ლექსებით ვეთხოვები ძვირფას ადამიანს.

ხუტა ბერულავა.

ასტრონომები და პოეტები

ვარსკვლავეთია სამეფო თქვენი,
ჩვენც ვარსკვლავებთან ჩურჩული გვიყვარს,
თუმცა ვსაუბრობთ სხვადასხვა ენით,
გვესმის მნათობთა ციური სიტყვა.

ყველა მათგანის სახელი იცით,
და თუ არ იცით, თვითონვე ნათლავთ,
ჭოგრიტით იჭერთ უხილავ ციმციმს,
ჩვენ კი... ეგ ზეცა რა არის მართლა...

იქ გვიპოვია ჩვენც სარბიელი,
იდუმალი და გასაოცარი,
გვიზიდავს მისი ელვა ძლიერი,
თუმცა მიწიდან ასე შორს არი!

დიახ, ჩვენც ვეძებთ ჯადოსნურ საგნებს
და პლანეტაზე ვეღარ ვეტევით,
ამიტომ ჰგავნან ერთმანეთს აგრე
ასტრონომები და პოეტები.

სახელები ქალაქის და კაცის

ცაზე თითქოს ერთდროულად გაჩნდნენ
ვარსკვლავები „ხარაძე“ და „მცხეთა“.
ოცნებაში მე ორივეს ვამჩნევ,
თუმცა თვალით მაინც ვერა ვხედავ.

ბიჭვინთიდან მელანდება მცხეთა
და ღიმილი მეგობრისა მაწვიმს.
ერის გულშიც კაშკაშებენ ერთად
სახელები ქალაქის და კაცის!



ევგენი ხარაძე აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ხელოვნება

დიდებული ქართველი ქალი

ყველა მწერალი, ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ქართული პოეზიის აღიარებულ კლასიკოსთან ირაკლი აბაშიძესთან, უსაზღვრო და უგულწრფელესი პატივისცემით იყო გამსჭვალული ქალბატონ ნელისადმი.

ქალბატონი ნელი იყო ლეთისნიერი, უსათნოესი პიროვნება, რომელმაც არამარტო ღირსეული მეგობრობა გაუწია თავის დიდ მეუღლეს, არამარტო გაზარდა სახელოვანი შეილები და შვილიშვილები, თავისი ღვთაებრივი სიკეთე და სითბო გულისა გაუნაწილა მრავალ ადამიანს.

როგორ შეიძლება დავივიწყდეს მისი მზრუნველობა, თანაგრძნობა, თანადგომა მარად დაუვიწყარი ირაკლი აბაშიძის კოლეგებს.

ქალბატონი ნელი დავითის ასული ჟორდანია-აბაშიძისა ყოველთვის ეხსომება მშობელ ხალხს. ჩვენი ხალხის ყველა მეგობარს ჰქონდა ბედნიერება პირადად გაეცნო ეს დიდებული ქართველი ქალი.

უკვდავი იყოს მისი სახელი.

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო.

ღიმილის დოზა

ცოლი:
– მე მგონი, ჩვენი მოყვრი უნდა დავითხოვოთ. ოთხჯერ კინაღამ მომკლა!
ქმარი:
– ნუ აჩქარდებით, ძვირფასო! მივცეთ კიდევ ერთი შანსი!

* * *

– ვინ გატეხა თქვენი დიდი ფანჯრის მინა?
– ჩემმა მშიშარა ქმარმა!
– კი, მაგრამ იგი ისეთი წყნარი და მშვიდია...
– ჩაიკუზა, როცა დიდი ქვაბი ვესროლე.

* * *

დილით ჰუგომ ფანჯარაში გაიხედა და ცოლსეუბნება:
– დღეს მშვენიერი დღე იქნება.
– ასე რატომ გაგეხარდა?
– გამახსენდა, რომ შენ მითხარი – ერთ მშვენიერ დღეს თავს დაგანებებო.

* * *

კვირა დღეს ეკლესიასთან გახარებული კაცის ყვირილი გაისმა:
– დებო და ძმებო! მე კვლავ შემიძლია ფეხით ვიარო!
– მოგვიყევით, როგორ მოხდა ეს სასწაული?
– ეს-ესაა მანქანა მომპარეს.

ტელევიზია

შაბათი, 13 ოქტომბერი

10.00 „დილის პაემანი“ 11.00 გინდ დაიჯერეთ, გინდ არა 11.25 ქართული ენის გაკვეთილი 11.45 ზღვარი 1200 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 12.15 კვალი 12.40 მეტრო 12.55 ბელკანტო 13.20 მულტსერიალი „პრინცესა პოკაჰონტასი“ 13.45 ფრანგული პროგრამა 14.35 50-50 15.00 მოამბე 15.15 სატელევიზიო სპექტაკლი „ალსარება“ 16.40 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 17.00 თქვენი უფლებები 17.20 მხიარული კარუსელი 17.45 საქართველო არის ესე 18.15 საქართველო და გარე სამყარო 18.40 ტელეზღაპარი 19.00 ვესტნიკი 19.35 მთელი ეს ტელევიზია 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 აზრი 21.00 მაესტრო „ამბობენ“ 21.45 ენა დედაა ერისა 22.05 დიდების ზღაპარი 22.35 ქიმერეონი 23.20 მეალომანია 00.00 მოამბე 00.15 ილუზიონი. მხ.ფ. „მედეა“.

19.00 მოამბე 19.10 მულტფილმი 19.30 ცოტა რამ საქართველოზე - ფილმი მეოთხე - „ყველაზე საქმიანი ადამიანი“ 20.00 ერთი მსახიობის სპექტაკლი „პატარა უფლისწული“ 21.20 დასაბამიდან 21.30 ახლო ხედი 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე 22.10 მხ.ფ. „კონტაქტი“ 00.15 ჰიტ-პარადი.

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.50 სერიალი „ნაზი შხამი„ 11.45 მულტსერიალი 12.20 მუსიკა 12.25 სერიალი „ფათერაკები სამხრეთის ზღვებში“ 13.25 მხ.ფილმი 15.25 სიმფსონები 16.00 მხ.ფილმი 18.00, 01.00 კურიერი 18.30 სერიალი „ცხელი ზონა“ 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.50 სერიალი „ნაზი შხამი“ 21.00 კურიერი P. S. 22.00 ფსიქო. მხ.ფ. „იღბლიანი გოგონები“ რეჟ. მარტა მესაროში. მთ. როლში ოლგა დროზდოვა 01.15 მხ.ფ. „სნაიპერი“. მთ. როლში თომ ბერენჯერი 03.00 ღამის ჯაზი.

იბერია
მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია
08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ალსავალი 08.20, 10.00, 11.55, 20.20, 22.05, 23.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. „ველური სიყვარული„ 10.05 მხ.ფ. „მეწამული მდინარეები„ 20.25 მხ.ფ. „ველური გრიზლი„ 22.10 მხ.ფ. „ჰანოვერ-სტრიტი“.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

მიმდინარე წლის 2 ნოემბერს 15 საათზე სს „რიონის“ იურიდიულ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის 19-ა, შედგება საზოგადოების რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სამეთვალყურეო საბჭო.

პრესა

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „საქპრესამ“ დაიწყო ხელმოწერა საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალ-გაზეთებზე 2002 წლის პირველი ნახევრისათვის.

ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმოთ „საქპრესის“ საქალაქო და რაიონულ ფილიალებში, „აჭარპრესაში“ მისამართზე: ქ. ბათუმი, ერას ქ. № 15, ტელ: 7-22-42, და თვით სს „საქპრესაში“ მისამართზე: ქ. თბილისი, 380019, ხოშარაულის ქ. № 29, ტელ: 93-30-54, 93-45-96. ფაქსი: 93-28-72, E-mail: sakpresa@kheta.ge.

გამოწერილ გამოცემებს მიიღებთ დროულად და უდანაკარგოდ თქვენს მიერ მინიშნებულ მისამართზე.

ხელმოწერის პირობებზე, ან თქვენთვის საინტერესო საკითხებზე დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ სს „საქპრესის“ ფილიალებში, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში, ასევე „აჭარპრესაში“.

თუ „საქპრესის“ ფილიალების მუშაკთა მომსახურების თაობაზე პრეტენზია ან დამატებითი ინფორმაციის მიღების სურვილი გაგიჩნდებათ, გთხოვთ, მოგვმართოთ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

სს „საქპრესის“ ადმინისტრაცია.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერის, ვარსკვლავმრიცხველის, ღირსეული მამულიშვილის, აკადემიკოს
ევგენი ხარაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ახლობლებს.

ადიგენის რაიონის საკრებულო და რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, აკადემიკოსი
ევგენი ხარაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ახლობლებს.

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საზოგადოების საპატიო პრეზიდენტის, მხცოვანი მეცნიერის, ქართული ღირსეული ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლის, საქართველოს მეცნიერების დიდი მოამაგის, გამოჩენილი მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს
ევგენი ხარაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ გამგეობის, პრეზიდიუმის წევრები, თანამშრომლები და ლექტორები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, 1975-1986 წლებში საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე და მოამაგე
ევგენი ხარაძე
და გულწრფელად თანაუგრძნობენ მისი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიკოს
ევგენი კირილეს ძე ხარაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

გურამ ჯარიაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და მამულიშვილი
ოთარ ღვევტრაშვილი
და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

დიღმის მასივის მესამე კვარტალის პირველი კორპუსის მცხოვრებლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ოთარ ღვევტრაშვილი
და ულრმეს თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა, ეკა, ბიძინა, რაჟდენ, კობა კვანტალიანები თანაუგრძნობენ ლიპარტელიანების ოჯახს ძვირფასი ადამიანის
რამინ ლიპარტელიანის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ვახტანგ აბაშიძეს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ რედაქცია მწუხარებით თანაუგრძნობს ვახტანგ და ზურაბ აბაშიძეებს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ აბაშიძეს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ ზურაბ აბაშიძეს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორი გატო ლასხიშვილი მწუხარებით თანაუგრძნობს ვახტანგ და ზურაბ აბაშიძეებს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძეს თანავუგრძნობთ დედის – ქალბატონ
ნელი ჟორდანიას
გარდაცვალების გამო.
უშანგი მეზურნიშვილი, მზია საყვარელიძე, ნიკო ქართველიშვილი, ვლადიმერ დარჩიაშვილი, გიორგი მგალობლიშვილი, მანანა ბაბუნია, მერაბ ღურწკაია, კობა ნემსიწვერიძე.

მანანა ქაჯაია, ნუგზარ კევლიშვილი, ფისო მხეიძე, ირაკლი ბიბილეიშვილი, თამაზ ჟორდანია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნელი დავითის ასული ჟორდანია-აბაშიძე.

სს „საქპრესა“ სამძიმარს უცხადებს ზურაბ და ვახტანგ აბაშიძეებს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

კავშირგაბმულობის, ფოსტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი თანაუგრძნობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ აბაშიძეს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

შპს „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ აბაშიძეს დედის
ნელი ჟორდანია აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ფინანსთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებენ ზურაბ და ვახტანგ აბაშიძეებს დედის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

რუსუდან უჯლისაშვილი, შოთა დოლონაძე ოჯახით ღრმა სამძიმარს უცხადებენ ზურაბ და ვახტანგ აბაშიძეებს დედის, უსათნოესი ქალბატონის
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება ირაკლი აბაშიძის მეუღლის, ქალბატონ
ნელი ჟორდანია-აბაშიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
გ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში. ხოშარაულის 29.